2021

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედექსი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 8

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა 9
2 მომზადების საფუძველი 9
3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 10
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 24
5 წმინდა საპროცენტო შემოსავალი 25
6 გაცემული სესხებიდან მიღებული ჯარიმები 25
7 ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი 25
8 საოპერაციო და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები 25
9 დაბეგვრა 26
10 ფული და ფულის ეკვივალენტები 27
11 მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 27
12 მომხმარებლებზე გაცემული სესხები 28
13 სხვა აქტივები 34
14 მიღებული სესხები და კრედიტები 34
15 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება 35
16 კაპიტალი 36
17 რისკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლი 36
18 კაპიტალის მართვა 45
19 პირობითი ვალდებულებები 46
20 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 47
21 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება 47
22 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 48

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედექსის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედექსის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას. ჩვენ მოველით, რომ მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა არის ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად მცდარია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

Nexia TA

Member of Nexia International

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედექსის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედექსის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას. ჩვენ მოველით, რომ მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას. ჩვენ მოველით, რომ მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა არის ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად მცდარია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2022 წლის 30 მაისი

თბილისი, საქართველო

Nexia TA

Member of Nexia International

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ასსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2022 წლის 30 მაისი

თბილისი, საქართველო

	შენიშვნები	2021	2020
ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი		706,505	567,284
საპროცენტო ხარჯი		(362,230)	(455,057)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	5	**344,275**	**112,227**
გაუფასურების აღდგენა/(ზარალი) გაცემულ სესხებზე	12	135,621	(86,391)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		**479,896**	**25,836**
გაცემულ სესხებზე მიღებული ჯარიმები	6	63,094	401,139
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა მოგება		29,491	2,045
ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი	7	(275,085)	(265,423)
საოპერაციო და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	8	(226,870)	(305,114)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		**70,526**	**(141,517)**
მოგების გადასახადის ხარჯი/სარგებელი	9	(27,186)	18,952
წლის მოგება / (ზარალი)		**43,340**	**(122,565)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**43,340**	**(122,565)**

5-48 გვერდებზე მოცემული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა 2022 წლის 30 მაისს და მისი სახელით ხელი მოეწერა შემდეგი პირების მიერ:

_____	_____
ზურაბ ახალაია	**ნინო თავდიშვილი**
აღმასრულებელი დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

შენიშვნები 9-48 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნები	2021	2020
ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი		706,505	567,284
საპროცენტო ხარჯი		(362,230)	(455,057)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	5	344,275	112,227
გაუფასურების აღდგენა/(ზარალი) გაცემულ სესხებზე	12	135,621	(86,391)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		479,896	25,836
გაცემულ სესხებზე მიღებული ჯარიმები	6	63,094	401,139
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა მოგება		29,491	2,045
ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი	7	(275,085)	(265,423)
საოპერაციო და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	8	(226,870)	(305,114)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		70,526	(141,517)
მოგების გადასახადის ხარჯი/სარგებელი	9	(27,186)	18,952
წლის მოგება / (ზარალი)		43,340	(122,565)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		43,340	(122,565)

5-48 გვერდებზე მოცემული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა 2022 წლის 30 მაისს და მისი სახელით ხელი მოეწერა შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ ახალაია
აღმასრულებელი დირექტორი

ნინო თავდიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 9-48 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
ფულადი სახსრები და მთი ეკვივალენტები	10	604,771	1,845,439
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	11	464,640	491,490
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	12	2,928,535	3,567,646
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები		8,965	20,423
აქტივის გამოყენების უფლება	15	108,694	149,165
დასაკუთრებული აქტივები		26,500	26,500
სხვა აქტივები	9	38,658	57,957
სულ აქტივები		**4,180,764**	**6,158,620**
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მიღებული სესხები და კრედიტები	14	2,198,020	3,996,178
საიჯარო ვალდებულებები	15	110,363	166,971
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	9	32,085	4,899
სხვა ვალდებულებები		4,020	17,023
სულ ვალდებულებები		**2,344,488**	**4,185,071**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	1,000,000	1,000,000
გაუნაწილებელი მოგება	18	836,275	973,549
სულ კაპიტალი		**1,836,275**	**1,973,549**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**4,180,763**	**6,158,620**

შენიშვნები 9-48 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	**1,000,000**	**1,243,219**	**2,243,219**
სულ წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	(122,565)	**(122,565)**
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	-	(147,105)	**(147,105)**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**1,000,000**	**973,549**	**1,973,549**
სულ წლის ზარალი და მთლიანი სრული შემოსავალი	-	43,340	**43,340**
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	-	(180,614)	**(180,614)**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**1,000,000**	**836,275**	**1,836,275**

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედექსი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარი)

	შენიშვნები	2021	2020
მოგება დაბეგვრამდე		70,526	(141,517)
კორექტირებები:			
გაუფასურების აღდგენა / (ზარალი)	12	(135,621)	86,391
ცვეთა და ამორტიზაცია	15	34,968	53,452
საპროცენტო შემოსავალი	5	(706,505)	(567,284)
საპროცენტო ხარჯი	5	362,230	455,057
საკურსო სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი		(29,309)	2,045
		(403,711)	**(111,856)**
კლება/(ზრდა) კლიენტებზე გაცემულ სესხებში		840,188	(405,792)
კლება/(ზრდა) საკრედიტო დაწესებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებში		-	(491,490)
კლება/(ზრდა) სხვა აქტივებში		19,299	45,420
(კლება)/ ზრდა სხვა ვალდებულებებში		(13,002)	1,288
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული ფულადი სახსრები პროცენტამდე და დაბეგვრამდე		**442,775**	**(962,431)**
მიღებული პროცენტი		637,311	518,508
გადახდილი პროცენტი		(118,156)	(435,210)
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული) / მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		**961,929**	**(879,134)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(600)	(1,570)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		**(600)**	**(1,570)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები და კრედიტები	14	534,277	1,335,237
მიღებული სესხებისა და კრედიტების დაფარვა	14	(2,475,434)	(1,001,615)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	15	(39,976)	(39,742)
გადახდილი დივიდენდები	16	(180,614)	(147,368)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		**(2,161,747)**	**146,512**
წმინდა ზრდა/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**(1,200,417)**	**(734,192)**
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(40,251)	274,261
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	1,845,439	2,305,370
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	**604,771**	**1,845,439**

შენიშვნები 9-48 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 ძირითადი საქმიანობა

(ა) *ორგანიზაცია და ოპერაციები*

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედექსი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2012 წლის 23 აგვისტოს. კომპანია საკრედიტო საშუალებებს სთავაზობს მცირე მეწარმეებს მათი საქმიანობების გაზრდისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

კომპანიის იურიდიული მისამართია ჭაბუკიანის ქუჩა №7, თბილისი, საქართველო. მისი რეგისტრაციის ნომერია 400058030.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა „აქციონერთა საბჭო“. „კომპანიის“ ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს „სამეთვალყურეო საბჭო“, რომლის წევრებსაც „აქციონერთა საბჭო“ ნიშნავს. კომპანიის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ დანიშნული „აღმასრულებელი დირექტორი“.

კომპანია დაფუძნებულია საქართველოს მოქალაქეების ვახტანგ ბართაიას, მიხეილ ცოგოშვილისა და ზურაბ ახალაიას მიერ კომპანიის საწესდებო კაპიტალში შესაბამისი წილებით 70%, 20% და 10%.

კომპანიას ჰყავდა შემდეგი აქციონერები:

2021 წლის 31 დეკემბერს:	**2020 წლის 31 დეკემბერს:**
სოფიო დევდარიანი – 40%;	სოფიო დევდარიანი – 40%;
ნატალია კეკელიძე – 30%;	ნატალია კეკელიძე – 30%;
ზურაბ ახალაია – 30%.	ზურაბ ახალაია – 30%.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

(ბ) *ბიზნეს გარემო*

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2 მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც რეალური ღირებულებით აღირიცხება.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს სავალუტო ერთეულამდე.

2 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

(დ) შეფასებების და მსჯელობის გამოყენება

ფასს-ებთან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის საღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაიხედება. საღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

მსჯელობები

ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში მოცემულია ინფორმაცია იმ შეფასებებზე, რომლებიც გაკეთდა ფინანსური აღრიცხვის გამოყენებისას და რასაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ოდენობებზე:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია: ბიზნეს მოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც ფლობილია აქტივი და რამდენად წარმოადგენს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები მხოლოდ ძირი თანხის და დაუფარავ ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდებს (იხ. შენიშვნა 12)
- კრიტერიუმის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს რამდენად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი ფინანსურ აქტივზე პირველადი აღიარების შემდგომ, იმ მეთოდოლოგიის დადგენა, რომლითაც ხდება სამომავლო ინფორმაციის გათვალისწინება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში და ამისთვის შესაბამისი მოდელების შერჩევა და დამტკიცება (იხ. შენიშვნა 17).

ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში მოცემულია ინფორმაცია შეფასებების და დაშვებების განუსაზღვრელობაზე, რამაც გაზარდა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს არსებითიცვლილებების განხორციელების ალბათობა:

- ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელის მონაცემების განსაზღვრა, მათ შორის სამომავლო ინფორმაციის ჩართვა(იხ. შენიშვნა 17);
- ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების (იხ. შენიშვნა 21).

(ე) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული გეგმები და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

3 საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ მოცემული საღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება ამ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

(ა) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა. საანგარიშგებო თარიღით უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თავიდან გადაანგარიშება ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ამავე თარიღისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თავიდან გადაანგარიშება ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია ოპერაციის დღისთვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. გადაფასების შედეგად წარმოშობილი სავალუტო სხვაობების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, შემდეგია:

	2021	2020
1 აშშ დოლარი / ₾	3.0976	3.2766

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ბ) პროცენტი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდით. „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ მოხმარების ვადაზე:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშგებისას, გარდა შეძენილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებული აქტივებისა, კომპანია ვარაუდობს სამომავლო ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. შეძენილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, გამოითვლება კრედიტით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების გამოყენებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ჩათვლით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლა მოიცავს გარიგების ხარჯებს და გადახდილ ან მიღებულ ქულებს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. გარიგების ხარჯები მოიცავს დამატებით ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

ამორტიზირებული ღირებულება და მთლიანი საბალანსო ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების „ამორტიზირებული ღირებულება“ არის ღირებულება, რომლითაც ფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, გამოკლებული ძირი თანხის გადახდები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი სხვაობის თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის, და ფინანსური აქტივებისთვის, დაკორექტირებული ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით.

„ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება“ აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით არის ფინანსური აქტივის ამორტიზირებული ღირებულება ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით დაკორექტირებამდე.

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის გამოთვლა

ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ანგარიშდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას. საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის დაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული კრედიტით) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე.

თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა კრედიტით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის კრედიტით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის პრინციპს.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას იყო კრედიტით გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება კრედიტით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. საპროცენტო შემოსავლის გამოთვლის მეთოდი არ უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის პრინციპს, მიუხედავად აქტივის საკრედიტო რისკის გაუმჯობესებისა.

ინფორმაციისთვის, როდის არის ფინანსური აქტივები გაუფასურებული კრედიტით, იხ. შენიშვნა 17.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ბ) პროცენტი (გაგრძელება)

წარდგენა

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი მოიცავს დარიცხულ პროცენტს ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე. მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი საპროცენტო ხარჯი მოიცავს დარიცხულ პროცენტს ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე. სესხის აღების და მომსახურების საკომისიოები და სხვა საკომისიოები, რომლებიც მიჩნეულია სესხის მთლიანი მომგებიანობის განუყოფელ ნაწილად, დაკავშირებულ გარიგების ხარჯებთან ერთად, გადავადებულია და ამორტიზირებულია საპროცენტო შემოსავალზე წრფივი მეთოდით, ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული ვადის განმავლობაში.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც იწვევს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებას, შეიძლება ნაწილობრივ ესადაგებოდეს ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ და ნაწილობრივ ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“. ამ შემთხვევაში კომპანია ჯერ იყენებს ფასს 9-ს, რომ დაყოს და აღრიცხოს ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც ფასს 9-ს მიეკუთვნება და შემდეგ დარჩენილ ნაწილზე იყენებს ფასს 15-ს.

სხვა საკომისიო ხარჯები და სხვა შემოსავალი და ხარჯების ერთეულები აღიარდება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

(გ) ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

(დ) საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების აღიარება

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყონებლივ, თუ ვერ მოხდება მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა აქტივად აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(ე) დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც უკავშირდება სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალში ასახულ გარიგებებს აქციონერებთან, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე გადასახადის ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან გამომდინარე ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2016 წლიდან და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) დაბეგვრა (გაგრძელება)

არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდება და ზღვარს გადაცილებული წარმომადგენლობითი ხარჯები.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღიარდება მათი ფინანსური ანგარიშგების მიზნით აღრიცხულ საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისთვისგამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობით. გადავადებული გადასახადი აღირიცხება საგადასახადო განაკვეთით რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია დროებით სხვაობებზე მათი აღდგენისას, იმ კანონებზე დაყრდნობით რომლებიც ძალაშია ან დიდწილად ძალაშია ანგარიშგების თარიღისთვის. გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოჰყვება კომპანიის მოლოდინებს, საგადასახადო პერიოდის ბოლოს, რომ აღადგინოს და დააკმაყოფილოს მისი აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება მხოლოდ იმ ოდენობით, რამდენადაც სავარაუდოა, რომ მომავალი დაბეგვრადი მოგება იქნება ხელმისაწვდომი 2023 წლის 1 იანვრამდე, რომლის საპირწონედაც გამოყენებული იქნება დროებითი სხვაობები, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალები და კრედიტები. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადახედილია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და შემცირებულია იმ ოდენობით, რამდენადაც მეტად აღარ არის მოსალოდნელი რომ დაკავშირებული საგადასახადო სარგებელი იქნება რეალიზებული.

ზემოთაღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს არ ექნებათ სხვაობა მათი აქტივების საგადასახადო საფუძვლებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, 2023 წლის 1 იანვრიდან დაშესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

სასესხო ინსტრუმენტი აღირიცხება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღრიცხული სასესხო ფინანსური აქტივებისთვის, ამონაგები და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, გარდაშემდეგი შემთხვევებისა, რომლებიც აღიარდება მოგებაში ან ზარალში ისევე როგორც ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები:

- საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღდგენები; და
- უცხოური გაცვლითი კურსიდან წარმოქმნილი ამონაგები და ზარალი.

როდესაც რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღრიცხული სასესხოფინანსური აქტივების აღიარება წყდება, კუმულაციური მოგება ან ზარალი, ადრე აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში, რეკლასიფიცირებულია კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

დამატებით, პირველადი აღიარებისას, კომპანიას შეუძლია შეუქცევადი წესით განსაზღვროს ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს ამორტიზირებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით აღრიცხვის მოთხოვნებს, თუ ეს მნიშვნელოვნადდასწევს ან გაანულებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რაც სხვა შემთხვევაში წარმოიშვება.

ბიზნეს მოდელის შეფასება

კომპანია აფასებს, თუ რა ამოცანებს ისახავს თითოეული ბიზნეს მოდელი, რომლისფარგლებშიც ხდება ფინანსური აქტივების პორტფელის მართვა, რადგან ეს ასახავს ბიზნესის მართვის და ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმებს. გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- პორტფელთან მიმართებაში არსებული ამოცანები და პოლიტიკა და ამგვარი პოლიტიკის მოქმედება პრაქტიკაში, კერძოდ, არის თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია მიმართული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადის ვალდებულებების (რომლებიც ამგვარ აქტივებს აფინანსებენ) ხანგრძლივობასთან თანხვედრაზე ან ფულადი ნაკადების რეალიზაციას აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ ხდება პორტფელის შედეგების შეფასება და ამ შეფასებების კომუნიკაცია კომპანიის ხელმძღვანელობისთვის;
- რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს მოდელის (და ამგვარ ბიზნეს მოდელში ფლობილი ფინანსური აქტივების) მაჩვენებლებზე და როგორ იმართება ამგვარი რისკები;
- როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა ანაზღაურება მართვის ქვეშ არსებული აქტივების რეალურ ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- განვლილ პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მომავალი სავაჭრო საქმიანობის მოლოდინები. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია სავაჭრო საქმიანობის შესახებ ცალკე არ განიხილება, ის წარმოადგენს კომპანიის მთლიანი შეფასების ნაწილს, თუ რამდენად არის მიღწეული ფინანსური აქტივების მართვასთან დაკავშირებით „კომპანიის“ მიერ განსაზღვრული მიზნები და რამდენად არის რეალიზებული ფულადი ნაკადები.

სავაჭროდ ხელმისაწვდომი და მართვის ქვეშ არსებული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, რადგან მათი ფლობის მიზანი არ არის არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებასთან ერთად ფინანსური აქტივების გაყიდვა.

შეფასება იმისა, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს

ამ შეფასების მიზნებისთვის, ‘ძირი თანხა’ განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. ‘პროცენტი’ განისაზღვრება როგორც ანაზღაურება, რომელიც უკავშირდება ფულის ღირებულებას დროში, კონკრეტული დროის განმავლობაში გადაუხდელი ძირი თანხის საკრედიტო რისკს და სხვა ძირითად საკრედიტო რისკებს და ხარჯებს (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟას.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითანხებისა და პროცენტის გადახდებს, კომპანია ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს ასევე გულისხმობს შეფასებას იმისა, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომელმაც შესაძლოა ისეთი ფორმით შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ვადები ან თანხა, რომ ის აღარ დააკმაყოფილებს მოცემულ პირობას. შეფასების განხორციელებისას, კომპანია ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობითი გარემოებები, რომლებიც შეცვლიან ფულადი ნაკადების თანხას და ვადებს;
- ლევერიჯის ფუნქციები;
- წინასწარ დაფარვისა და ვადის გახანგრძლივების პირობები;
- პირობები, რომლებიც ზღუდავენ კომპანიის უფლებას მოითხოვოს ფულადი ნაკადები კონკრეტული აქტივებიდან - მაგ. აქტივების განთავსების რეგრესი; და
- ვითარებები, რომლებიც ცვლიან ფულის ღირებულებას დროში - მაგ. საპროცენტო განაკვეთების პერიოდული ცვლილება.

რეკლასიფიკაცია

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას,მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია აკლასიფიცირებს მის ფინანსურ ვალდებულებებს, სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური უზრუნველყოფის გარდა, ისევე როგორც აღრიცხავს - ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, რომელშიც თითქმის ყველა რისკი და აქტივის ფლობის ანაზღაურება მოიაზრება, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა (ან აღიარებაშეწყვეტილი აქტივის ნაწილზე მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებას) და (i) მიღებულ ოდენობასა (ნებისმიერ მიღებულ ახალ აქტივს გამოკლებული ახალიდაკისრებული ვალდებულების ჩათვლით) და (ii) ნებისმიერი კუმულაციური ამონაგების ან ზარალის (რომელიც აღიარებულ იქნა სხვა სრულ შემოსავალში) ჯამს შორის - აღიარდებამოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს შესრულებულია ან უქმდება ან ვადა გასდის.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კორექტირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივი ჩამოიწერება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება რეალური ღირებულებით, დამატებული ნებისმიერი შესაბამისი გარიგების ხარჯები.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ნებისმიერი საკომისიო მიღებული კორექტირების ფარგლებში აღირიცხება შემდეგნაირად:

- ახალი აქტივის რეალური ღირებულების დადგენისას გამოყენებული საკომისიოები და შესაბამისი გარიგების ხარჯების ჩათვლიდან მიღებული საკომისიოები ჩათვლილია აქტივის თავდაპირველ აღრიცხვაში; და
- სხვა საკომისიოები ჩათვლილია მოგებაში ან ზარალში, როგორც აღიარების შეწყვეტიდან მიღებული მოგება ან ზარალი.

ფულადი ნაკადების ცვლილება, რაც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან, არ განიხილება როგორც ცვლილება, იმ შემთხვევაში, თუ გამოწვეულია არსებული სახელშეკრულებო პირობებით, მაგ. კომპანიის მიერ ინიცირებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შემთხვევაში, რომელიც დამოკიდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ძირითადი განაკვეთის ცვლილებაზე, როცა სესხის ხელშეკრულება კომპანიას ასეთ უფლებამოსილებას ანიჭებს. კომპანია ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არასაწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;

თუ ფულადი ნაკადები იცვლება როდესაც მსესხებელი ფინანსური სირთულეების წინაშეა,მაშინ კორექტირების მიზანი როგორც წესი არის საწყისი სახელშეკრულებო პირობების აღდგენა და არა ახალი აქტივის წარმოქმნა არსებითად სხვა პირობებზე. თუ კომპანია ფინანსურიაქტივის ისეთ კორექტირებას გეგმავს, რომელიც ფულადი ნაკადების პატიებას გამოიწვევს, მაშინ ის თავდაპირველად აფასებს შესაძლებელია თუ არა აქტივის გარკვეული ნაწილის ჩამოწერა, მანამ სანამ კორექტირებას ექნება ადგილი (იხილეთ ქვემოთ ჩამოწერის პოლიტიკები). ეს მიდგომა გავლენას ახდენს ხარისხობრივი შეფასების შედეგებზე და ნიშნავს, რომ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმები არ არის დაკმაყოფილებული (როგორც წესი ესეთ შემთხვევებში). კომპანია შემდგომ ახორციელებს კორექტირების არსებითობის ხარისხობრივ შეფასებას.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული აქტივის კორექტირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ კომპანია პირველ რიგში ხელახლა ითვლის ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და აღიარებს საბოლოო კორექტირებას როგორც ცვლილების შედეგად მიღებულ ამონაგებს ან ზარალს, მოგებაში ან ზარალში. კორექტირებისასგაწეული ან მიღებული ნებისმიერი საკომისიო აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია კორექტირებული ფინანსური აქტივის დარჩენილ ვადაზე.

თუ ეს კორექტირება გამოწვეულია მსესხებელის ფინანსური სირთულეების გამო, მაშინ ამონაგები ან ზარალი წარმოდგენილია გაუფასურების ზარალთან ერთად. სხვა შემთხვევაში ის წარმოდგენილია, როგორც ეფექტური პროცენტის მეთოდით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილ ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალ, შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება, აღიარდება რეალური ღირებულებით, სხვაობა განულებულ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ, შეცვლილ პირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილი ოდენობა მოიცავს არაფინანსური აქტივების გადაცემას, თუ ასეთს აქვს ადგილი, და ვალდებულებების აღებას, ახალი კორექტირებული ფინანსური ვალდებულების ჩათვლით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანია აფასებს, არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების კურსის ცვლილება;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები, თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან.

თუ ფინანსური ვალდებულების კორექტირება არ მიიჩნევა როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება გადაანგარიშებულია მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით და შედეგადმიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. მცოცავი განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებებისთვის, საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოყენებული ცვლილებიდან მიღებული მოგების ან ზარალის დასათვლელად, კორექტირებულია ცვლილების დროს არსებული მიმდინარე საბაზრო პირობების ასახვის მიზნით. ნებისმიერი გაწეული საკომისიო ხარჯები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ამორტიზირებულია კორექტირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილ ვადაზე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ხელახლა გამოთვლით.

გაუფასურება

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- ფინანსური აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ სასესხო ინსტრუმენტებს;

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც რეზერვი აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც სააღრიცხვო თარიღისთვის აქვს დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისთვისაც საკრედიტო რისკი არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევებისაგან. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, მიჩნეულია როგორც „1-ლი დონის “ ფინანსური ინსტრუმენტები.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში. ფინანსური ინსტრუმენტები,რომლებზეც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, მიჩნეულიაროგორც „მე-2 დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები (თუ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტები არ არის გაუფასურებული კრედიტით) და „მე-3 დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები (თუ ფინანსური ინსტრუმენტები არის კრედიტით გაუფასურებული).

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის ალბათობით შეწონილშეფასებას და ის ფასდება შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ გაუფასურებულ კრედიტს საანგარიშგებო თარიღისთვის: ფულადი სახსრების დანაკლისის მიმდინარე ღირებულება (ე.ი. სხვაობა ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოს მიერ მისაღებ ფულად სახსრებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია);

- ფინანსური აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ გაუფასურებულ კრედიტს ანგარიშგების თარიღისთვის: სხვაობა მოსალოდნელი მომავალი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებასა და მთლიან საბალანსო ღირებულებას შორის;

რესტრუქტურიზებული ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება მოლაპარაკებების საფუძველზე ან მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო არსებული ფინანსური აქტივი ახლით იცვლება, მაშინ კეთდებაშეფასება, უნდა მოხდეს თუ არა ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება შემდეგნაირად:

- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურიზაცია არ გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ შეცვლილი ფინანსური აქტივიდან მისაღები მოსალოდნელი ფულადი სახსრები ჩათვლილია მიმდინარე აქტივისგან მიღებული ფულადი დანაკლისის გაანგარიშებაში

თუ მოსალოდნელი რესტრუქტურიზაცია გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ ახალი აქტივის მოსალოდნელი რეალური ღირებულება განიხილება როგორც საბოლოო ფულადი ნაკადი არსებული ფინანსური აქტივიდან მისი აღიარების შეწყვეტის მომენტში. ეს ოდენობა ჩათვლილია მიმდინარე ფინანსური აქტივისგან მიღებულ ფულად დანაკლისში, რომელიც დისკონტირებულია მოსალოდნელი აღიარების შეწყვეტის თარიღიდან ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე არსებული ფინანსური აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღსთვის კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები („მე-3 დონის“ ფინანსური აქტივები)გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“, არის შემდეგი:

- მსესხებლის გარდაცვალება, მსესხებლის კომპანიის ლიკვიდაცია (თუ იურიდიული ერთეულია);
- სესხები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით;
- ეკონომიკურ ზარალთან დაკავშირებული სესხის რესტრუქტურიზაცია;
- გაკოტრების და/ან იურიდიული პროცესები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს კომპანიას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;
- თაღლითობა ან სხვა ფორსმაჟორული სიტუაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის გადახდისუნარიანობაზე.

მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო პირობებშეცვლილი სესხი ითვლება „კრედიტით გაუფასურებულად“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების ვერ მიღების რისკი მნიშვნელოვნადაა შემცირებულიდა არ არის გაუფასურების სხვა ნიშნები.

ჩამოწერა

სესხები ჩამოიწერება (მთლიანად ან ნაწილობრივ) როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი ფინანსური აქტივის ნაწილობრივი ან მთლიანი აღდგენისა. ეს არის ისეთი შემთხვევა, როდესაც კომპანია ვარაუდობს, რომ მსესხებელს არ აქვს შესაბამისი აქტივი ან შემოსავალის წყარო, რითაც იგი უზრუნველყოფს ფულადი ნაკადების გენერირებას იმისთვის, რომ დაფაროს ჩამოწერის საგანი. აღნიშნული შეფასება ხორციელდება ინდივიდუალური აქტივების დონეზე.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ადრე ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა შედის „გაუფასურების ზარალში სასესხო ფინანსურ აქტივებზე“ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ზ) ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში და ბანკებში შეუზღუდავ მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ბანკნოტებს და ხურდა ფულს, რომელთა საწყისი დაფარვისვადა სამ თვეზე ნაკლებია. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით. კომპანია კომერციულ ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისთვის ქმნის შესაძლო დანაკარგების რეზერვს. დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის გამოიყენება Standard & Poor's-ის მიერ ფინანსური ინსტიტუტისათვის მინიჭებული რეიტინგი და ამ რეიტინგის შესაბამისი დეფოლტის ალბათობა. კომპანია ყოველწლიურად ატარებს ტესტირებას, იმისათვის რომ განსაზღვროს რამდენად ზუსტად ასახავს რეალობას IFRS 9-ის ფარგლებში დათვლილი დეფოლტის ალბათობა და ასევე, ერთი წლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ამისათვის იყენებს მოდელის PD-ის ისტორიულ მონაცემებს. ტესტის შედეგები მიიჩნევა მისაღებად თუ ისტორიული დეფოლტის განაკვეთსა და მოდელის PD-ის შორის სხვაობა არ აღემატება ერთ სტანდარტულ გადახრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია ადგენს გადახრის გამომწვევ მიზეზებს და ამ მიზეზების ბუნების შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს მაკორექტირებელ ქმედებებს.

(თ) მომხმარებლებზე გაცემული სესხები

მომხმარებლებზე გაცემული სესხები-ს მუხლი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ მოხმარებლებზე გაცემულ სესხებს; ისინი თავდაპირველად შეფასებულია რეალურ ღირებულებას დამატებული ზრდადი პირდაპირი გარიგების ხარჯები, და მაშასადამე მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან FVOCI-ი. გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დეტალური საფუძვლები განხილულია შენიშვნა-17 ში.

(ი) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალება ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხით. მომდევნო ხარჯები მიეკუთვნება აქტივის თვითღირებულებას ან აღიარებულია განცალკევებულ აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივისგან კომპანია ელოდება მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ფასის განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. მოცილებული ნაწილის ღირებულება კი აკლდება ამ აქტივის თვითღირებულებას. ყველა სხვა შეკეთებისა და შენახვის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ხარჯების გაწევა.

ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადისაშუალების შეძენის მომენტიდან, ან კომპანიის შიგნით შექმნილი აქტივების შემთხვევაში, იმდროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებების სავარაუდო მომსახურების ვადები არის შემდეგი:

- კომპიუტერები და აპარატურა 3 წელი;
- საოფისე აღჭურვილობა 5 წელი;
- საიჯარო გაუმჯობესებები 5 წელი;
- სხვა 7 წელი.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ი) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

საიჯარო გაუმჯობესებების ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარისა და მომსახურების ვადას შორის უფრო მცირე პერიოდისთვის. ცვეთის მეთოდები, მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და კორექტირდება საჭიროების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია დაგროვილი ამორტიზაციისა დაგაუფასურების ზარალის გამოკლებით. შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზირდება შესაძენად გაწეული და კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების დაწყებისთვის საჭირო ხარჯების საფუძველზე.ამორტიზაცია ერიცხება მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდის გამოყენებით არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე. სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

(კ) იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმვალობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

საიჯარო ვალდებულება

იჯარის ვადის დაწყების თარიღით, ბანკი აღიარებს საიაჯრო ვალდებულებას რომლებიც იზომება საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებაში, რომელთა გადახადა უნდა მოხდეს საიჯარო ვადის განმავლობაში.საიჯაორ გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,ინდექსებზე ან განაკვეთებზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს და თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით.საიჯაორ გადახდები

აგრეთვე მოიცავს შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად საწრმუნოა, რომ ბანკი გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს ბანკის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩვანის გამოყენების უფლების გამოყენებას. იჯარის გადახდების დღევანდელი ღირებულების გაანგარიშებისას, ბანკის იყენებს ზღვრულ საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების პერიოდისთვის, რადგან იჯარაში ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეუძლებელია.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(კ) იჯარები (გაგრძელება)

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ან შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

(ლ) დასაკუთრებული ქონება

დასაკუთრებული ქონება ძირითადად წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებსაც კომპანია იღებს ვადაგადაცილებული სესხების დასაფარად. ეს აქტივები თავდაპირველად აღიარდება შესაბამისი სესხის წმინდა საბალანსო ღირებულებით. აქტივები, რომელთა ამოღებაც მოსალოდნელია ძირითადად გაყიდვით და არა განგრძობითი მოხმარებით - კლასიფიცირდება როგორც “გასაყიდად ფლობილი“. ასეთი აქტივები ძირითადად ფასდება საბალანსო ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. გაუფასურება განიხილება როგორც გასაყიდად ფლობილად კლასიფიკაციის მომენტში, ასევე ამის შემდგომ. გაუფასურების ზარალი გამოითვლება როგორც სხვაობა აქტივების/გასაყიდი კომპანიის საბალანსო ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულებას შორის. ნებისმიერი წარმოშობილი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(მ) სხვა მოთხოვნები

სხვა მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია სხვა აქტივებში ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს და შეფასებული არიან ამორტიზებული ღირებულებით. სხვა მოთხოვნები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(ნ) მიღებული სესხები და კრედიტები

მიღებული სესხები და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. მათი შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად.

(ო) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი მოიცავს აქციონერების მიერ კომპანიის რეგისტრაციისას უფლებამოსილ კაპიტალს. საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებსა და რეგულაციებს. დივიდენდები აღირიცხება შესაბამისი გაუნაწილებელი მოგების სახით მათი გამოცხადების მომენტში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ჰ) რეალური ღირებულების დადგენა

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს ფინანსურ ინტრუმენტებს რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის რეალური ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია რეალურ ღირებულებებს აფასებს რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას.

- დონე 1 ფინანსური ინსტრუმენტები - ესენია შეფასებისას გამოყენებული საშუალებები დაუკორექტირებელი კვოტირებული ფასები აქტიური ბაზრებიდან იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, რომლებზეც კომპანიას აქვს წვდომა გაზომვის თარიღამდე. კომპანიას მხოლოდ მაშინ მიაჩნია ბაზარი აქტიურად თუ არსებობს სათანადო სავაჭრო საქმიანობები შესაბამისი მოცულობითა და ლიკვიდურობით იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების და როდესაც საბალანსო თარიღისთვის ხელმისაწვდომია სავალდებულო და გამოყენებადი ფასების კვოტები. მონაცემები რომლებიც გამოყენებულ იქნა შეფასებაში არის დაუკორექტირებელი კოტირებული ფასი, აქტიური ბაზრებიდან იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, რომლებსაც კომპანიას აქვს წვდომა გაზომვის თარიღთან. კომპანია აქტიურად მიიჩნევს ბაზრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი სავაჭრო საქმიანობა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მოცულობისა და ლიკვიდურობის თვალსაზრისით და როდესაც არსებობს ბალანსის თარიღის სავალდებულო და განხორციელებადი ფასები.
- დონე 2 ფინანსური ინსტრუმენტები - ესენია შეფასებისას გამოყენებული საშუალებები და რომლებიც არის არსებითი, გამომდინარეობს უშუალოდ ან ირიბად დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებიდან, რომელიც ხელმისაწვდომია ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ასეთი საშუალებები მოიცავს აქტიური ბაზრის მსგავსი აქტივების ან ვალდებულებების კვოტირებულ ფასებს, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთის მრუდი, ნაგულისხმევი ცვალებადობა და საკრედიტო სპრედი. გარდა ამისა, კორექტირებები შეიძლება იყოს საჭირო აქტივის მდგომარეობის ან ადგილმდებარეობის ან იმ მოცულობასთან მიმართებაში, რომელიც მას მიესადაგება შეფასებულ ინსტრუმენტთან. თუმცა, თუ ასეთი შესწორება ეფუძნება არასაბაზრო მონაცემებს, რომლებიც არსებითია მთლიანი შეფასებისათვის, მაშინ კომპანია ამ ინსტრუმენტს დააკლასიფიცირებს როგორც მესამე დონისას. ეს არის მონაცემები, რომლებიც გამოიყენება შესაფასებლად და არის მნიშვნელოვანი, გამომდინარეობს პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებიდან, რომელიც ხელმისაწვდომია მეთლი ინსტუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. ასეთი ინფორმაცია მოიცავს აქტიური ბაზრის მსგავსი აქტივების ან ვალდებულებების კოტირებულ ფასებს, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთების შემოსავლიანობის მრუდები, ნაგულისხმევი ცვალებადობა და საკრედიტო სპრედები. გარდა ამისა, კორექტირება შეიძლება საჭირო იყოს აქტივის მდგომარეობის ან ადგილმდებარეობის ან იმ ზომასთან მიმართებაში, რომელიც მას ეხება იმ შესაფერის ინსტრუმენტთან შედარებით. ამასთან, თუკი ამგვარი ცვლილებები დაფუძნებულია არაემპირიული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მთლიანი გაზომვისთვის, კომპანია ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტებს, როგორც მე -3 დონეს.

  დონე 3 ფინანსური ინსტრუმენტები - ისინი რომლებიც მოიცავნ ერთს ან მეტ არასაბაზისო მონაცემებს რომელიც არსებითია მთლიანი შეფასებისათვის.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(პ) რეალური ღირებულების დადგენა (გაგრძელება)

კომპანია პერიოდულად განიხილავს შეფასების ტექნიკას, მათ შორის მიღებული მეთოდოლოგიისა და მოდელის კალიბრაციის ჩათვლით. ამასთან, საბაზო მოდელებმა შეიძლება სრულად ვერ დაფაროს კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების შესაბამისი ფაქტორები, როგორიცაა საკრედიტო რისკი (CVA), საკუთარი საკრედიტო (DVA) ან / და დაფინანსების ხარჯები (FVA). შესაბამისად, კომპანია იყენებს სხვადასხვა ტექნიკას.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის დადგენა, რომლებიც იზომება რეალური ღირებულებით, მოიცავს პორტფელზე დაფუძნებულ მიდგომას რომელიც გამოიანგარიშება მოსალოდნელი ნეტო თანხით ინდივიდუალური აქტივების მთელი სასიცოცხლი ვადის განმავლობაში, თითოეული კონტრაქტით, იმისათვის, რათა ასახოს ცალკეული კონტრაგენტების საკრედიტო რისკი არაუზრუნველყოფილი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

კომპანია აფასებს თითოეული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დონეებს სათითაოდ ინსტრუმენტების მიხედვით და საჭიროების შემთხვევაში ახდენს ინსტრუმენტების ხელახალ კლასიფიკაციას, საანგარიშო პერიოდის ბოლოს დამყარებულ ფაქტებზე დაყრდნობით.

(ჟ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის

ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

(რ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

(ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

(ბ) კანონმდებლობიდან; ან

(გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

(ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შეფასება

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი;
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

5 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

კომპანიის წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2021	2020
ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები	**706,505**	**567,284**
საპროცენტო ხარჯი		
მიღებული სესხები და კრედიტები	(345,706)	(431,799)
საიჯარო ვალდებულება	(16,524)	(23,258)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**344,275**	**112,227**

6 გაცემული სესხებიდან მიღებული ჯარიმები

გაცემული სესხებიდან მიღებული ჯარიმები 2021 წლის განმავლობაში შეადგენდა 63,094 ლარს (2020: 401,139 ლარი) რაც ძირითადად დაკავშირებული იყო კლიენტთა სესხების დაფარვის დაგვიანებასთან.

7 ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი

კომპანიის ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2021	2020
ძირითადი ხელფასი	246,703	240,132
სხვა სარგებელი	28,382	25,291
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	**275,085**	**265,423**

8 საოპერაციო და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საოპერაციო და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2021	2020
პროფესიონალური მომსახურება*	59,838	105,517
რეკლამის ხარჯები	42,858	42,485
საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯები	37,234	28,964
დანარჩენი საექსპლუატაციო ხარჯები	36,217	39,492
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი**	35,045	53,452
კომუნალური მომსახურების ხარჯები	6,718	5,446
დაცვის ხარჯები	5,616	5,616
სხვა	3,344	24,141
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	**226,870**	**305,113**

*პროფესიონალური მომსახურების ანაზღაურება ასევე მოიცავს აუდიტორული და სხვა პროფესიონალური მომსახურებების გაწევისთვის აუდიტორული ფირმებისთვის გადახდილ საფასურს 43,724 ლარის ოდენობით (2020 წელს: 56,263 ლარი).

**ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი მოიცავს ძირითადი საშუალებების და გამოყენების უფლებით აქტივის ცვეთას, ასევე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციას.

9 დაბეგვრა

(ა) მოგების გადასახადის ხარჯის კომპონენტები

მოგება-ზარალში ასახული მოგების გადასახადი შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

	2021	2020
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი	-	-
დროებითი სხვაობებით და მათი აღდგენით გამოწვეული მოძრაობა გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებში	27,186	(18,952)
სულ მოგების გადასახადი ხარჯი	**27,186**	**(18,952)**

2021 წელს მოქმედი საგადასახადო განაკვეთი მიმდინარე და გადავადებული გადასახადისთვის არის 15% (2020 წელს: 15%).

(ბ) ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2021	2020
მოგება /(ზარალი) დაბეგვრამდე	**70,526**	**(141,517)**
მოგების გადასახადის მოქმედი საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი / (სარგებელი) მოქმედი განაკვეთით	10,579	(21,228)
დაუბერგავი შემოსავლი	-	-
გამოუქვითავი ხარჯები	16,607	2,276
მუდმივი სხვაობის სხვა ეფექტი	-	-
მოგების გადასახადის ხარჯი / (სარგებელი)	**27,186**	**(18,952)**

(გ) დროებითი განსხვავებების მიხედვით გაანალიზებული გადავადებული გადასახადი

დროებითი სხვაობები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური ანგარიშგების მიზნით და საგადასახადო მიზნით გამოყენებულ თანხებში წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივებს 2021 და წმინდა გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებს 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოძრაობა დროებით სხვაობებში 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

	1 იანვარი 2021	აღიარებული მოგებაში ან ზარალში	31 დეკემბერი 2021
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	(14,604)	(24,027)	(38,631)
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(790)	3,653	2,862
სესხები და კრედიტები	9,488	(6,055)	3,433
სხვა აქტივები	1,007	(757)	250
	(4,899)	**(27,186)**	**(32,085)**

წარმოდგენილია შემდეგი სახით

	1 იანვარი 2020	აღიარებული მოგებაში ან ზარალში	31 დეკემბერი 2020
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	(36,866)	22,262	(14,604)
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	2,146	(2,936)	(790)
სესხები და კრედიტები	7,999	1,489	9,488
სხვა აქტივები	2,871	(1,864)	1,007
	(23,850)	**18,952**	**(4,899)**

9 დაბეგვრა (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები შეესაბამება შემდეგს:

	აქტივები		ვალდებულებები		წმინდა	
	2021	2020	2021	2020	2021	2020
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	-	(38,631)	(14,604)	**(38,631)**	**(14,604)**
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	2,862	(790)	-	-	**2,862**	**(790)**
სესხები და კრედიტები	3,434	9,488	-	-	**3,434**	**9,488**
სხვა აქტივები	250	1,007	-	-	**250**	**1,007**
წმინდა საგადასახადო (ვალდებულებები)/აქტივები	**6,546**	**9,705**	**(38,631)**	**(14,604)**	**(32,085)**	**(4,899)**

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება სათანადოდ არის წარმოდგენილი, რადან ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ხელმისაწვდომი იქნება მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელია საგადასახადო აქტივების გამოყენება.

10 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	10,288	3,133
საბანკო ნაშთები	594,483	1,842,306
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	604,771	1,845,439

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული. კომპანიის ყველა საბანკო ნაშთი ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მხრიდან BB, BB- და B შეფასების მქონე ბანკებშია განთავსებული.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასს 9-ის ფარგლებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასადგენად, კომპანია ფულადი სახსრების ეკვივალენტებს „ეტაპი 1“-ში აერთიანებს (2020 წლის 31 დეკემბერი: „ეტაპი 1“). საბანკო ნაშთები ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურებაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ არის არსებითი საანგარიშგებო თარიღებისთვის.
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთ ქართულ ბანკში არსებული ნაშთები კომპანიის მთლიანი საკუთარი კაპიტალის 33%-ს შეადგენს. (2020: ერთ ქარტულ ბანკში განთავსებული ნაშთები მთლიანი საკუთარი კაპიტალის 83% იყო).

11 მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ წარმოადგენს ერთ წელზე ნაკლები სახელშეკრულებო ვადით განთვსებულ სახსრებს ქართულ საკრედიტო დაწესებულებებში 464,640 ლარს (2020 წელი 491,490 ლარი).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასს 9-ის ფარგლებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასადგენად, კომპანია მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ „ეტაპი 1“-ში აერთიანებს (2020 წლის 31 დეკემბერი: „ეტაპი 1“). ხელშეკრულებები ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურებაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ არის არსებითი საანგარიშგებო თარიღებისთვის.

12 მომხმარებლებზე გაცემული სესხები

მომხმარებლებზე გაცემული სესხები მიმართ 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

გაცემული სესხები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ბიზნეს სესხები	929,809	811,577
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხები	1,525,361	2,104,562
სხვა სამომხმარებლო სესხები	660,423	974,186
სულ მომხმარებლებზე გაცემული სეხები	**3,115,593**	**3,890,325**
გაუფასურების რეზერვი	(187,058)	(322,679)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები (ნეტო)	**2,928,535**	**3,567,646**

მოძრაობა სესხის გაუფასურების რეზერვში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	**322,679**	**236,288**
ჩამოწერა	-	-
წმინდა (აღდგენა)/დარიცხვა	(135,621)	86,391
ნაშთი წლის ბოლოს	**187,058**	**322,679**

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი დაშვებები მომხმარებლებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD).

შემდეგი ცხრილი ასახავს უზრუნველყოფის ანალიზს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუფასურების გამოკლებით:

	კლიენტებზე გაცემული სესხები, საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება- უზრუნველყოფისთვის, რომელიც ფასდება ანგარიშგების თარიღისთვის	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება- რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული
სესხები გაუფასურების ნიშნებისგარეშე (ეტაპი 1)			
უძრავი ქონება	1,884,970	1,884,970	-
ავტომობილები	1,347	1,347	-
მესამე პირების გარანტიები	216,364	-	216,364
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	76,750	-	76,750
სულ სესხები გაუფასურების ნიშნების გარეშე (ეტაპი 1)	**2,179,431**	**1,886,317**	**293,114**
უძრავი ქონება	351,257	351,257	-
მესამე პირების გარანტიები	246,172	-	246,172
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	151,675	-	151,675
სულ ვადაგადაცილებული და გაუფასურებული სესხები (ეტაპი 2 ან 3)	**749,104**	**351,257**	**397,847**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**2,928,535**	**2,237,574**	**690,961**

12 მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილი ასახავს უზრუნველყოფის ანალიზს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,გაუფასურების გამოკლებით:

	კლიენტებზე გაცემული სესხები, საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება- უზრუნველყოფისთვის, რომელიც ფასდება ანგარიშგების თარიღისთვის	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება- რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული
სესხები გაუფასურების ნიშნებისგარეშე (ეტაპი 1)			
უძრავი ქონება	1,916,209	1,916,209	-
ავტომობილები	1,795	1,795	-
მესამე პირების გარანტიები	223,789	-	223,789
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	80,806	-	80,806
სულ სესხები გაუფასურების ნიშნების გარეშე (ეტაპი 1)	**2,222,599**	**1,918,004**	**304,595**
უძრავი ქონება	730,203	730,203	-
მესამე პირების გარანტიები	428,843	-	428,843
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	186,001	-	186,001
სულ ვადაგადაცილებული და გაუფასურებული სესხები (ეტაპი 2 ან 3)	**1,345,047**	**730,203**	**614,844**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**3,567,646**	**2,648,207**	**919,439**

ზემოთ წარმოდგენილი ცხრილები წარმოდგენილია ნამეტი უზრუნველყოფის გამორიცხვის საფუძველზე.

უზრუნველყოფილი სესხები ძირითადად უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით ან გარანტიებით. იმ სესხების ამოღებადობა, რომელიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, ძირითადად დამოკიდებულია მსესხებლების კრედიტუნარიანობაზე, და არა გირაოს ღირებულებაზე და აუცილებელი არ არის კომპანიამ განაახლოს გირაოს შეფასება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.
კომპანიის პოლიტიკას წარმოადგენს უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა, სესხის გაცემის მაქსიმალური 50%-იანი სესხი-ღირებულების თანაფარდობის კოეფიციენტით. სესხი-ღირებულების დაბალი კოეფიციენტის გამო, ხელმძღვანელობა არ მოელის რომ რაიმე უარყოფით მოძრაობას საბაზრო ფასებში, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება სესხების ამოღებადობაზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები მოიცავს მთლიანი პორტფელის 76%-ზე მეტს (2020 წელს: 74%).

სასესხო პორტფელის სამრეწველო ანალიზი

მომხმარებლებზე გაცემული სესხები მოიცავს სესხებს, რომლებიც გაიცა საქართველოს ეკონომიკის შემდეგ დარგებში მოქმედ მომხმარებლებზე:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გაცემული სესხები		
სამომხმარებლო სესხები	1,887,693	2,331,663
მომსახურებები	164,481	143,368
საცალო ვაჭრობა	304,772	427,369
სასოფლო მეურნეობა	2,206	2,657
წარმოება	-	6,178
ტრანსპორტიება	1,603	1,123
სხვა	568,007	655,288
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	**2,928,535**	**3,567,646**

12 მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)
მნიშვნელოვანი საკრედიტო დაქვემდებარებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არცერთი ინდივიდუალური სასესხო ნაშთი და არც დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფების ნაშთები არ აღემატებოდა საკუთარი კაპიტალის 10%-ს.

სესხის დაფარვის ვადები

სასესხო პორტფელის დაფარვის ვადა წარმოდგენილია 17-ე განმარტებით შენიშვნაში, რომელიც ასახავს დარჩენილ ვადას საანგარიშგებო თარიღიდან სესხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფარვის თარიღამდე. კომპანიის მიერ გაცემული სესხების მოკლევადიანი ხასიათის გამო, სავარაუდოდ, დაფარვის თარიღისთვის ბევრი სესხი განახლდება. შესაბამისად, სასესხო პორტფელის ეფექტური ვადა ხელშეკრულებით შეთანხმებულზე უფრო ხანგრძლივი შეიძლება იყოს.

ზარალის რეზერვი

2021 წლის დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მომხმარებლებზე გაცემული სესხების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი შემდეგია:

მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებლებით

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**30,654**	**52,439**	**239,586**	**322,679**
გადასვლა ეტაპი 1-ზე	3,771	(3,214)	(555)	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(14,443)	19,715	(5,273)	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(3,338)	(8,448)	11,785	-
ზარალის რეზერვის წმინდა გადაფასება	(34,191)	(30,104)	(16,769)	(81,064)
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	86,636	-	-	86,636
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(3,063)	3,063	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(1,114)	1,114	-	-
ჩამოწერა	(86,670)	(30,201)	(24,322)	(141,193)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(21,758)**	**4,364**	**204,452**	**187,058**

2020 წლის დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მომხმარებლებზე გაცემული სესხების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი შემდეგია:

მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებლებით

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**39,646**	**37,314**	**159,328**	**236,288**
გადასვლა ეტაპი 1-ზე	1,004	-	(1,004)	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(38,025)	38,025	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(20,704)	(9,997)	30,701	-
ზარალის რეზერვის წმინდა გადაფასება	(64,057)	(25,891)	38,110	(51,838)
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	138,229	-	-	138,229
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(12,987)	12,987		-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(12,452)	-	12,452	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,654**	**52,438**	**239,587**	**322,679**

12 მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილი ასახავს ზემოთ მოყვანილ ცხრილებში ასახული ოდენობების (რომლებიც აჯერებს ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის ზარალის რეზერვების საწყის და საბოლოო ნაშთებს) შეჯერებას.

	2021	2020
ზარალის რეზერვის წმინდა გადაფასება	(81,064)	(51,838)
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	(54,557)	138,229
სულ	**(135,621)**	**86,391**

არსებითი ცვლილებები მომხმარებლებზე გაცემული ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში განმარტებულია ქვემოთ.

პერიოდის განმავლობაში შემცირებულია გაცემული სესხების ოდენობა 639 ათასი ლარით, რომელმაც თავის მხრივ შეამცირა 12-თვიან საფუძველზე შეფასებული ზარალის რეზერვის ოდენობაც 55 ათასი ლარით.

საკრედიტო ხარისხის ანალიზი

შემდეგი ცხრილი ასახავს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხს 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილში წარმოდგენილი ოდენობები ასახავს ფინანსური აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ეტაპი 1, ეტაპი 2, ეტაპი 3 - ტერმინების განმარტება იხილეთ შენიშვნა 17.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხები საკრედიტო ხარისხის მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ბიზნეს სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
არავადაგადაცილებული	641,579	-	-	**641,579**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით		-	-	**-**
30-60 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	-	**-**
60-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	-	**-**
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილები	-	-	-	**-**
-90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით (რესტრუქტურიზაციის სტატუსტით)	-	92,100	-	**92,100**
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით (რესტრუქტურიზაციის სტატუსტით)	-	-	196,130	**196,130**
სულ მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები	**641,579**	**92,100**	**196,130**	**929,809**
მოსალოდნელი დაკრედიტო ზარალის რეზერვი	(45,103)	(6,475)	(16,716)	**(68,294)**
საბალანსო ღირებულება	**596,476**	**85,625**	**179,414**	**861,515**

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
არავადაგადაცილებული	1,313,005	-	-	**1,313,005**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	-	-	-	**-**
30-60 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	-	**-**
60-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	-	**-**
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილები	-	-	-	**-**
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით (რესტრუქტურიზაციის სტატუსტით)	-	207,592	-	**207,592**
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით (რესტრუქტურიზაციის სტატუსტით)	-	-	4,765	**4,765**
სულ მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები	**1,313,005**	**207,592**	**4,765**	**1,525,362**
მოსალოდნელი დაკრედიტო ზარალის რეზერვი	(13,133)	(2,076)	(48)	**(15,256)**
საბალანსო ღირებულება	**1,299,872**	**205,516**	**4,717**	**1,510,106**

12 მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

სხვა სამომხმარებლო სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
არავადაგადაცილებული	321,464	-	-	**321,464**
30 დღეზე ნაღები ვადაგადაცილებით	12,913	-	-	**12,913**
30-60 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	-	**-**
60-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	-	**-**
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილები	-	-	-	**-**
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით (რესტრუქტურიზაციის სტატუსტით)	-	81,300	-	**81,300**
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით (რესტრუქტურიზაციის სტატუსტით)	-	-	244,745	**244,745**
სულ მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები	**334,378**	**81,300**	**244,745**	**660,423**
მოსალოდნელი დაკრედიტო ზარალის რეზერვი	(52,403)	(12,732)	(38,373)	**(103,508)**
საბალანსო ღირებულება	**281,975**	**68,568**	**206,372**	**556,915**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხები საკრედიტო ხარისხის მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ბიზნეს სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
არავადაგადაცილებული	343,956	-	-	**343,956**
30 დღეზე ნაღები ვადაგადაცილებით	52,579	-	-	**52,579**
30-60 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	-	**-**
60-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	-	**-**
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილები	-	-	12,593	**12,593**
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით (რესტრუქტურიზაციის სტატუსტით)	-	248,594	-	**248,594**
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით (რესტრუქტურიზაციის სტატუსტით)	-	-	153,855	**153,855**
სულ მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები	**396,535**	**248,594**	**166,448**	**811,577**
მოსალოდნელი დაკრედიტო ზარალის რეზერვი	(11,013)	(16,072)	(50,925)	**(78,010)**
საბალანსო ღირებულება	**385,522**	**232,522**	**115,523**	**733,567**

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
არავადაგადაცილებული	**1,455,873**	-	-	**1,455,873**
30 დღეზე ნაღები ვადაგადაცილებით	48,423	-	-	**48,423**
30-60 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	-	**-**
60-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	-	**-**
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილები	-	-	56,523	**56,523**
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით (რესტრუქტურიზაციის სტატუსტით)	-	453,922	-	**453,922**
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით (რესტრუქტურიზაციის სტატუსტით)	-	-	89,821	**89,821**
სულ მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები	**1,504,296**	**453,922**	**146,344**	**2,104,562**
მოსალოდნელი დაკრედიტო ზარალის რეზერვი	(7,449)	(13,461)	(41,694)	**(62,604)**
საბალანსო ღირებულება	**1,496,847**	**440,461**	**104,650**	**2,041,958**

12 მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

სხვა სამომხმარებლო სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
არავადაგადაცილებული	**329,379**	-	-	**329,379**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	33,359	-	-	**33,359**
30-60 დღემდე ვადაგადაცილებით	-	31,071	-	**31,071**
60-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	16,382	-	**16,382**
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილები	-	-	266,094	**266,094**
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით (რესტრუქტურიზაციის სტატუსტით)	-	186,822	-	**186,822**
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით (რესტრუქტურიზაციის სტატუსტით)	-	-	111,080	**111,080**
სულ მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები	**362,738**	**234,275**	**377,174**	**974,186**
მოსალოდნელი დაკრედიტო ზარალის რეზერვი	(12,192)	(22,907)	(146,967)	**(186,066)**
საბალანსო ღირებულება	**350,546**	**211,368**	**230,207**	**792,121**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობდა ფინანსურ ინსტრუმენტებს რომელთათვისაც არ იყო ზარალის რეზერვი აღიარებული უზრუნველყოფის არსებობის გამო (2020: ნული).

შემდეგი ცხრილი ასახავს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინფომაციას მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე, რომლებიც არიან გაუფასურებული კრედიტით და მათთან დაკავშირებულ უზრუნველყოფაზე, რომელიც ამცირებს პოტენციური ზარალის რისკს:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება	ფლობილი გირაოს რეალური ღირებულება	
				უძრავი ქონება	სულ
ბიზნესს სესხები	196,130	(16,717)	179,413	179,413	179,413
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხები	4,765	(48)	4,718	4,718	4,718
სხვა სამომხმარებლო სესხები	244,745	(38,373)	206,372	-	-
სულ კრედიტით გაუფასურებული მომხმარებლებზე გაცემული სესხები	**445,640**	**(55,138)**	**390,503**	**184,131**	**184,131**

შემდეგი ცხრილი ასახავს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინფომაციას მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე, რომლებიც არიან გაუფასურებული კრედიტით და მათთან დაკავშირებულ უზრუნველყოფაზე, რომელიც ამცირებს პოტენციური ზარალის რისკს:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება	ფლობილი გირაოს რეალური ღირებულება	
				უძრავი ქონება	სულ
ბიზნესს სესხები	166,448	(50,925)	115,523	115,523	115,523
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხები	146,345	(41,694)	104,651	104,651	104,651
სხვა სამომხმარებლო სესხები	377,174	(146,967)	230,206	-	-
სულ კრედიტით გაუფასურებული მომხმარებლებზე გაცემული სესხები	**689,967**	**(239,586)**	**450,380**	**220,174**	**220,174**

13 სხვა აქტივები

კომპანიის სხვა აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადად შედგება გაცემული ავანსებისგან და წინასწარ გადახდილი გადასახადებისგან.

14 მიღებული სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-17 შენიშვნაში.

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები ინსტიტუტებისგან	358,480	426,655
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან უზრუნველყოფის გარეშე	242,005	-
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან უზრუნველყოფის გარეშე	4,928	1,085,508
	605,413	**1,512,163**
მიმდინარე ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები ინსტიტუტებისგან	**462,603**	**762,979**
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან უზრუნველყოფის გარეშე	**-**	**1,606,028**
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან უზრუნველყოფის გარეშე	**1,130,004**	**115,008**
სულ მიმდინარე სესხები	**1,592,607**	**2,484,015**
სულ სესხები და კრედიტები	**2,198,020**	**3,996,178**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები და კრედიტები უზრუნველყოფილია კლიენტებზე გაცემული სესხებით.

სესხის დაფარვის ვადები და გრაფიკები

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

		31 დეკემბერი 2021			
	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტურებისგან	ლარი	13%-14.3%	2024-2025	821,083	821,083
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან უზრუნველფოფის გარეშე	აშშ დოლარი	11.05%	2022	242,005	242,005
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან უზრუნველფოფის გარეშე	აშშ დოლარი	13.00%	2024-2026	1,134,932	1,134,932
სულ საპროცენტო ვალდებულებები				**2,198,020**	**2,198,020**

14 მიღებული სესხები და კრედიტები (გაგრძელება)

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

				31 დეკემბერი 2020	
	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტურებისგან	ლარი	13%	2022	1,189,634	1,189,634
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან უზრუნველფოფის გარეშე	აშშ დოლარი	11.05%-12.63%	2020-2021	1,606,049	1,606,049
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან უზრუნველფოფის გარეშე	აშშ დოლარი	13%	2021-2024	1,200,496	1,200,496
სულ საპროცენტო ვალდებულებები				**3,996,179**	**3,996,179**

ვალდებულბების მოძრაობა და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების შეჯერება

	2021	2020
ნაშთი 1 იანვარის მდგომაროებით	**3,996,179**	**3,289,263**
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან	534,277	1,335,237
ნასესხები სახსრების დაფარვა	(2,475,434)	(1,001,615)
საპროცენტო ხარჯი	345,707	431,799
გადახდილი პროცენტი	(101,632)	(411,952)
უცხოური ვალუტის გადაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	(101,077)	353,446
ნაშთი 31 დეკემბერის მდგომაროებით	**2,198,020**	**3,996,179**

15 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება

კომპანია საქართველოს ფარგლებში ქირაობს შენობა-ნაგებობებს. ამ ფართების იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და განსაზღვრულია ლარში.

	შენობები	სულ
საბალანსო ღირებულება		
იანვარი 1, 2020	241,948	241,948
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
დეკემბერი 31, 2020	**241,948**	**241,948**
გასვლა/აქტივის გამოყენების უფლების მოდიფიკაცია	(16,632)	(16,632)
დეკემბერი 31, 2021	**225,316**	**225,316**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება		
იანვარი 1, 2020	(46,328)	(46,328)
მიმდინარე წლის ცვეთა	(46,328)	(46,328)
დეკემბერი 31, 2020	**(92,783)**	**(92,783)**
მიმდინარე წლის ცვეთა	(22,170)	(22,170)
დეკემბერი 31, 2021	**(114,953)**	**(114,953)**
ნეტო საბალანსო ღირებულება		
დეკემბერი 31, 2020	**149,165**	**149,165**
დეკემბერი 31, 2021	**110,363**	**110,363**

15 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულება	2021	2020
ბალანსი წლის დასაწყისში	**166,971**	**206,712**
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(39,976)	(39,741)
საპროცენტო ხარჯი	16,524	23,258
გადახდილი პროცენტი	(16,524)	(23,258)
საიჯარო ვალდებულების ცვლილების ეფექტი	(16,632)	-
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	-	-
ბალანსი წლის ბოლოს	**110,363**	**166,971**

16 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გამოშვებული და გადახდილი საწესდებო კაპიტალი	1,000,000	1,000,000
გადაუხდელი საწესდებო კაპიტალი	-	-
სულ ავტორიზებული საწესდებო კალიტალი	**1,000,000**	**1,000,000**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს ნულ ლარს (2020 წელს: ნულ ლარი) მისი აქციონერებისგან მოთხოვნების სახით, რადგან საქართველოს კანონმდებლობის თანახმად კომპანიის წესდება წარმოდგენს სამართლებრივად დამავალდებულებელ ხელშეკრულებას პარტნიორებს (მეწილე და კომპანია) შორის. წესდება განსაზღვრავს გადახდის პირობებს და გადაუხდელი საწესდებო კაპიტალის ოდენობას.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ კომპანიის ნორმატიულ ფინანსური ანგარიშგებაში განსაზღვრის შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა გაუნაწილებელი მოგებას 836,275 ოდენობით (2020 წლის 31 დეკემბერს: 973,549 ლარი).

2021 წელს გამოცხადდა და აქციონერებისათვის გადახდილ იქნა დივიდენდები 180,614 ლარის ოდენობით (2020 წელს: 147,105 ლარი)

17 რიკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლი

რისკების მართვა კომპანიის საქმიანობის არსებით ნაწილსა და მისი ოპერაციების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

რისკების მართვის პოლიტიკები და პროცედურები

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება,საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი მთლიანობაში პასუხისმგებელნი არიან რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, ასევე რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე და კომპანიაზე არსებითი გავლენის მქონე რისკების დამტკიცებაზე.კომპანიის საზედამხედველო საბჭოს და აღმასრულებელ დირექტორს ევალება მონიტორინგის განხორციელება და რისკების შემამსუბუქებელი ზომების მიღება, ასევე კომპანიის საქმიანობის განსაზღვრული სარისკო პარამეტრების ფარგლებში მიმდინარეობის უზრუნველყოფა. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია

17 რიკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

რისკების ზოგად მართვასა და შესაბამის ფუნქციონირებაზე, ასევე ფინანსური და არაფინანსური რისკების გამოვლენასთან, შეფასებასთან, მართვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული საერთო პრინციპებისა და მეთოდების განხორციელების უზრუნველყოფაზე. იგი უშუალოდ საზედამხედველო საბჭოს წინაშეა ანგარიშვალდებული.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა ფასების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშვება საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც დაქვემდებარებულნი არიან ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და საბაზრო ფასების არასტაბილურობის დონის ცვლილებებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია კომპანიაზე საბაზრო რისკების გავლენის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზემოქმედებს ცვლილებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პრიორიტეტულ დონეებში. საპროცენტო მარჟა შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს კიდეც ან წარმოშვას ზარალი, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ მოძრაობებს.

საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვა ხდება საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგის გზით. საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზის შედეგები, ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტისთვის 2021 წლის 31 დეკემბრის დგომაროებით იყო შემდეგი:

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
31 დეკემბერი 2021						
აქტივები						
კლიენტებზე გაცემული სესხები	172,796	18,581	146,631	1,294,694	1,295,833	**2,928,535**
სულ აქტივები	**172,796**	**18,581**	**146,631**	**1,294,694**	**1,295,833**	**2,928,535**
ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები	(165,888)	(232,377)	(207,257)	(1,592,498)	-	**(2,198,020)**
საიჯარო ვალდებულებები	(3,977)	(8,200)	(33,303)	(64,883)	-	**(110,363)**
სულ ვალდებულებები	(169,865)	(240,577)	(240,560)	(1,657,381)	-	(2,308,383)
წმინდა მდგომარეობა	**2,930**	**(221,996)**	**(93,929)**	**(362,686)**	**1,295,833**	**620,152**

17 რიკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

საპროცენტო შედარებითი ანალიზის შედგები, ძირითადი ფინანსური ინსტიტუტებისთვის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
31 დეკემბერი 2020						
აქტივები						
კლიენტებზე გაცემული სესხები	219,603	14,271	553,935	1,705,589	1,074,248	**3,567,646**
სულ აქტივები	**219,603**	**14,271**	**553,935**	**1,705,589**	**1,074,248**	**3,567,646**
ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები	(21,777)	(378,890)	(2,006,564)	(1,588,947)	-	**(3,996,178)**
საიჯარო ვალდებულებები	(3,508)	(7,293)	(34,181)	(121,989)	-	**(166,971)**
სულ ვალდებულებები	**(25,285)**	**(386,183)**	**(2,040,745)**	**(1,710,936)**	**-**	**(4,163,149)**
წმინდა მდგომარეობა	**354,637**	**(138,002)**	**(353,258)**	**(540,546)**	**311,342**	**(365,827)**

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში განსაზღვრულია საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები პროცენტიანი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	2021		2020	
საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები	საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %		საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %	
	ლარი	აშშ დოლარი	ლარი	აშშ დოლარი
კლიენტებზე გაცემული სესხები	31%	22%	33%	23%
საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ვალდებულებები				
სესხები ფიზიკური პირებისგან	-	13%	-	13%
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	14%	12%	12%	11%

რეალური ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტებისათვის

კომპანია არ ახდენს მისის რომელიმე ფიქსირებულ განაკვეთიანი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებას. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისთვის ცვლილება არ იმოქმედებს მოგებასა და ზარალზე.

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის მონიტორინგთან ერთად საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ხორციელდება. წმინდა მოგების მგრძნელბობის ანალიზი, საპროცენტო განაკვეთში ცვლილებაზე (ფასების შეცვლის რისკი),რომელიც ქვემოთ არის მოცემული, ეყრდნობა ყველა შემოსავლის მრუდის 100 საბაზრო ერთეულით სიმეტრიული ვარდნის ან ზრდის გამარტივებულ სცენარს. საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებების არსებული პოზიციები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

17 რიკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
პარალელური ვარდნა 100 საბაზისო ერთეულით	**2,550**	**6,317**
პარალელური ზრდა 100 საბაზისო ერთეულით	**(2,550)**	**(6,317)**

სავალუტო რისკი

კომპანიის ზოგიერთი ფინანსური აქტივი და ვალდებულება აშშ დოლარშია დენომინირებული. სავალუტო რისკი წამოადგენს რისკს იმისა, რომ ფინანსური ინტსტუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების გამო.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკების სტრუქტურას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები დამათი ექვივალენტები	341,932	721,054	6,425	1,069,411
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,674,825	253,710		2,928,535
სულ აქტივები	**3,016,757**	**974,764**	**6,425**	**3,997,946**
ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	(821,083)	(1,376,937)		**(2,198,020)**
საიჯარო ვალდებულებები	(110,363)	-		**(110,363)**
სულ ვალდებულებები	**(931,446)**	**(1,376,937)**	**-**	**(2,308,383)**
წმინდა მდგომარეობა	**2,085,311**	**(402,173)**	**6,425**	**1,689,563**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო რისკის სტრუქტურას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	სულ
აქტივები			
ფულადი სახსრები დამათი ექვივალენტები	435,105	1,410,334	1,845,439
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	491,490	491,490
სულ აქტივები	3,009,843	557,803	3,567,646
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	(1,189,634)	(2,806,544)	**(3,996,178)**
საიჯარო ვალდებულებები	(166,971)	-	**(166,971)**
სულ ვალდებულებები	**(1,356,605)**	**(2,806,544)**	**(4,163,149)**
წმინდა მდგომარეობა	**2,088,343**	**(346,917)**	**1,741,426**

17 რიკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია წლის განმავლობაში გამოყენებული მნიშვნელოვანი სავალუტო გაცვლითი კურსები:

	ანგარიშგების თარიღით არსებული საშუალო კურსი			
	31 დეკემბერი 2021	2021	31 დეკემბერი 2020	2020
1 აშშ დოლარი	**3.0976**	**3.2209**	**3.2766**	**3.1097**

ლარის კურსის შესუსტება, როგორც ქვემოთ არის მითითებული, შემდეგ ვალუტასთან მიმართებაში 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდიდა (შეამცირებდა) მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. აღნიშნული ანალიზი მოცემულია გადასახადების გამოკლებით და ეყრდნობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ისეთ ცვლებებს, რომლებიც კომპანიამ გონივრულ ფარგლებში შესაძლოდ მიიჩნია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა სხვა ცვლადი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთები, უცვლელად დარჩება.

	2021	2020
დოლარის 10%-ით გამყარება ლართან მიმართებაში	**(33,639)**	**(29,488)**

ლარის გამყარებას ზემოთ მითითებულ ვალუტებთან მიმართებაში 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს ექნებოდა იგივე მაგრამ უკუ-ეფექტი მითითებულ ვალუტებზე, იმ დაშვებით რომ ყველა სხვა ცვლადი მუდმივი დარჩება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომელშიც გათვალისწინებულია საკრედიტო კომიტეტების შექმნა. ეს არის ანლიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მათი მინიმუმამდე დაყვანა. საკრედიტო პოლიტიკა (საკრედიტო სახელმძღვანელოს სახით) განიხილება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსება-არდაფინანსების შესახებ. კომიტეტისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება ლიმიტებს, რომლებიც საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებშია დადგენილი.

საკრედიტო კომიტეტისათვის წარმოდგენილია ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხს აგებს სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, ბიზნეს კონკურენტიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

კლიენტის ბიზნესის მონიტორინგის საფუძველზე მისი გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის გაწევის რისკი. მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცრები და შედეგებს წარუდგენენ აღმასრულებელ დირექტორს. სესხების რეგულარული მონიტორინგი ასევე ხორციელდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის მართვას და მის დროულ განეიტრალებას.

ინდივიდუალური კლიენტების ანალიზის გარდა, რისკების და იურიდიული დეპარტამენტი ახორციელებს საკრედიტო პორტფელის შეფასებას, კრედიტების კონცენტრაციასა და საბაზრო რისკებთან მიმართებაში.

17 რიკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დაქვემდებარება ფინანსური აქტივებიდან საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

	2021	2020
აქტივები		
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,928,535	3,567,646
საბანკო ნაშთები	1,069,411	2,336,929
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება	**3,997,946**	**5,904,575**

გაუფასურების შეფასება

იმის განსაზღვრისთვის, მოხდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის (დეფოლტის რისკის) თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვანი ზრდა, კომპანია იყენებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია არაჯეროვანი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე. ასეთი მონაცემები მოიცავს ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინფორმაციასა და ანალიზის, რომელიც ეფუძნება „კომპანიის“ ისტორიულ გამოცდილებას, კრედიტის საექსპერტო შეფასებას და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას.

კომპანია აღიარებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას შემდეგი კრიტერიუმებისსაფუძველზე:

- მისი ფინანსური მაჩვენებლები გაუფასურებულია და ფაქტიური დავალიანება რესტრუქტურიზებულია, თუმცა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი არ დამდგარა;
- დავალიანება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია (გარდა ბანკის ბალანსებისა); და
- არსებობს სხვა სუსტი მხარეები, რომლებსაც უარყოფითი გავლენა აქვთ მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე.

დეფოლტის ალბათობის მაჩვენებლების ვადიანობის განსაზღვრა (კლიენტებზე გაცემული სესხებისთვის)

სესხების დეფოლტის ალბათობის მოდელირება დაფუძნებულია თითოეული სესხის სეგმენტის ჯგუფური ანალიზის მეთოდზე. დეფოლტის განმარტების მიხედვით, დეფოლტის ალბათობა დაფუძნებულია ისტორიული ყოველთვიური მიგრაციის ანალიზზე წინა ხუთი წლის პერიოდის სეგმენტების დეფოლტის მიხედვით. იმ სეგმენტებისთვის, რომლებისთვისაც არ არსებობს საკმარისი ისტორიული მონაცემები, პერიოდი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელი პერიოდიდან არსებობს ფაქტობრივი მონაცემები.
ყველა სეგმენტისთვის გამოითვლებოდა ისტორიული საშუალო ყოველთვიური მატრიცა და დეფოლტის ალბათობა სასურველი პერიოდისთვის განისაზღვრებოდა მატრიცის ექსტრაპოლირებით (1 წელი და მთლიანი სასიცოცხლო ციკლი).

დადგენა არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. არსებითის მნიშვნელობა განსხვავებულია სესხების გაცემის სხვადასხვა ტიპებისთვის, კონკრეტულად კი ბიზნეს და სამომხმარებლო სეგმენტებისთვის. კომპანია ფინანსურ აქტივზე ვადაგადაცილების სტატუსს (30 დღეზე მეტი) იყენებს „backstop” ინდიკატორად, ასევე გამოიყენება სხვა ხარისხობრივი ინდიკატორები, რათა შეფასდეს რამდენად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი.

დეფოლტის განმარტება

კომპანია სესხს დეფოლტირებულად განიხილავს, ერთ-ერთი შემდეგი ვითარების წარმოშობის შემთხვევაში:

- სესხები 90 მეტი ვადაგადაცილებით (გარდა ბანკის ბალანსებისა);
- გაკოტრების პროცედურები და/ან სამართლებრივი პროცედურები, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედონ კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების უნარზე;
- მსესხებლის გარდაცვალება, მსესხებლის კომპანიის ლიკვიდაცია (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- არსებითი დანაკარგები რომლებიც დაკავშირებულია რესტრუქტურიზაციასთან;
- თაღლითობა ან სხვა ფორსმაჟორული სიტუაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოსკომპანიის გადახდისუნარიანობაზე.

17 რიკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)
დეფოლტის სტატუსი ფასდება რეგულარულად (ყოველწლიურად).

კომპანიამ უნდა აღრიცხოს თუ რა კრიტერიუმის დარღვევის გამო გახდა სესხი დეფოლტირებული.

მომავალი ტენდენციების გათვალისწინება

კომპანია ითვალისწინებს მომავალ ტენდენციებს იმის დასადგენად, თუ რამდენად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ასევე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

კომპანიის ექსპერტების მიერ ხდება მომავალი ტენდენციების შეფასება. შეფასება დამოკიდებულია ასევე გარე ინფორმაციაზე. გარე ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს ეკონომიკურ მონაცემებს და ქვეყნის (სადაც კომპანია ოპერირებს) სამთავრობო და საფინანსო ორგანოების მიერ გამოქვეყნებულ პროგნოზებს, როგორიცაა მაგ. საქართველოს ეროვნულიბანკი.

ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული პორტფელისთვის კომპანიამ მოახდინა საკრედიტო რისკის მთავარი დრაივერის იდენტიფიცირება, ისტორიული მონაცემებისა და მაკროეკონომიკური მოვლენების საკრედიტო რისკზე გავლენების შეფასების საფუძველზე.

მაკროეკონომიკური პარამეტრების (როგორიცაა ინფლაცია, ვალუტის გაუფასურება) შეფასებამ აჩვენა, რომ არცერთს არ აქვს სტატისტიკურად არსებითი გავლენა პორტფელის დეფოლტის ალბათობაზე. გასული 3 წლის ისტორიულმა კორელაციამ არ აჩვენა მნიშვნელოვანი კავშირი მაკროეკონომიკურ ფაქტორებსა და დეფოლტის ალბათობას შორის.

როდესაც კორელაცია დადგენილია, ისტორიული კორელაციის მიხედვით, დეფოლტის ალბათობა კორექტირდება „Vasicek”-ის მოდელის გამოყენებით. „Vasicek”-ის მოდელი იყენებს კორელაციას მაკროეკონომიკურ პარამეტრსა და დეფოლტის ალბათობას შორის, რომელიც რეგრესიულ (უმცირეს კვადრატთა) ანალიზით შეფასდა, შემდეგ ახდენს დეფოლტის ალბათობის კორექტირებას ისტორიული კავშირების გათვალისწინებით, სამომავლო მშპ-ზე დაყრდნობით.

მოდიფიცირებული ფინანსური აქტივები

სესხის სახელშეკრულებო პირობები შესაძლებელია შეიცვალოს რიგი მიზეზების გამო, როგორიცაა საბაზრო პირობების ცვლილება, კლიენტების შენარჩუნება და სხვა ფაქტორები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული კლიენტის მიმდინარე ან პოტენციურ საკრედიტო გაუარესებასთან. არსებული სესხის აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა, შესაძლებელია შეწყდეს და ახალ სესხად აღიარებულ იქნას მოდიფიცირებული სესხი, რეალური ღირებულებით, 3 შენიშვნაში მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანია ახდენს სამომხმარებლო სესხების პირობების ცვლილებას ფინანსური სირთულეების მქონე კლიენტებისთვის, რათა გაზარდოს სესხის ამოღების შესაძლებლობები და მოახდინოს დეფოლტის რისკის მინიმიზირება. კომპანიის რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის მიხედვით, სესხის რესტრუქტურიზაცია ხდება, თუ მსესხებელი ამჟამად დეფოლტშია, ან არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, არსებობს მტკიცებულება, რომ მსესხებელმა განახორციელა ყველა გონივრული ქმედება არსებული სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში ვალის გასტუმრებისთვის და მოსალოდნელია, რომ იგი შეძლებს განახლებული სასესხო პირობების დაკმაყოფილებას.

შეცვლილი პირობები, როგორც წესი, გულისხმობს დაფარვის ვადის გახანგრძლივებას, და საპროცენტო გადახდების რაფიკის ცვლილებას. სესხის პირობების ცვლილება საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის ხარისხობრივი მახასიათებელია. შესაბამისად, კომპანია ასეთ კლიენტს არასტანდარტულად მიიჩნევს და მეორე ეტაპზე გადაჰყავს.

17 რიკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ცვლადი მონაცემები:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზალარი დეფოლტის ემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის დაქვემდებარებული თანხები (EAD).

რისკზე დაქვემდებარების 1-ლი ეტაპის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება 12 თვეში „დეფოლტის ალბათობის“, „ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ და „დეფოლტს დაქვემდებარებულ თანხებზე“ გადამრავლებით. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება არსებობის მანძილზე „დეფოლტის ალბათობის“, „ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ და „დეფოლტს დაქვემდებარებულ თანხებზე“ გადამრავლებით. კომპანია ასევე ადისკონტირებს დეფოლტს დაქვემდებარებულ თანხებს დეფოლტის თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე.

დეფოლტის ალბათობების დადგენის მეთოდოგოლია აღწერილია ზემოთ „დეფოლტის ალბათობის ჩვენებლების ვადიანობის განსაზღვრა“ სათაურის ქვეშ.

საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიზნებისთვის, ზარალი სესხებზე ფასდება ჯგუფურად სეგმენტების მიხედვით.

კომპანია ადგენს ზარალს დეფოლტის შემთხვევაში დეფოლტირებული კლიენტების ისტორიული აღდგენების სტატისტიკაზე დაყრდნობით. „ვინტაჟ“ მიდგომა გამოიყენება დეფოლტირებული სესხების (მათი სასიცოცხლო ვადის მანძილზე) აღდგენილი პორტფელის პროცენტულობის დასადგენად. სესხები დაჯგუფებულია დეფოლტის წლების მიხედვით და გადახდის ოდენობები მიბმულია თითოეულ ჯგუფზე. ახლად დეფოლტირებული პორტფელებისთვის გამოიყენება სტატისტიკური მონაცემები მომავალი აღდგენების პროგნოზირებისთვის. საბოლოოდ, ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გამოსათვლელად გაყოფილია დეფოლტირებულ პორტფელზე.

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD) ასახავს მოსალოდნელ დაქვემდებარებასდეფოლტის შემთხვევაში. დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები გამოითვლება ყველა პროდუქტისთვის ცალ-ცალკე მათი საშუალო ნარჩენი არსებობის ვადის გათვალისწინებით, თითოეულ სასიცოცხლო პერიოდზე ცალ-ცალკე. სესხის გაცემიდან საშუალო დეფოლტის პერიოდის დასათვლელად გამოიყენება ისტორიული მონაცემები. სხვადასხვა წლების მონაცემების შეფასებამ აჩვენა, რომ წელიწადის შუა პერიოდი არის დეფოლტის მომენტი. შესაბამისად, ეს მომენტი გამოიყენება დეფოლტს დაქვემდებარებული თანხების დასათვლელად გეგმით გათვალისწინებული ძირი თანხების გამოკლებით (სავარაუდო ვადაგადაცილების პერიოდამდე) და სამი თვის დარიცხული პროცენტის დამატებით (სავარაუდო ვადაგადაცილების პერიოდიდან სესხის გადეფოლტების პერიოდამდე).

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავდება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. ფინანსურ ინსტიტუტში სრული შესაბამისობის მიღწევა იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც ის სხვადასხვა ტიპის არის. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა, შესაძლოაზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.

კომპანია ახორციელებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ფულადი ვალდებულების უზრუნველყოფისთვის ხელმისაწვდომი იქნება თანხები მათი დაფარვის თარიღისთვის.

ლიკვიდურობის პოზიციას აკონტროლებს აღმასრულებელი დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო. ლიკვიდურობის მართვის გადაწყვეტილებებს იღებს სამეთვალყურეო საბჭო და ასრულებს აღმასრულებელი დირექტორი.

17 რიკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსურ ვალდებულებებზე და მათ ყველაზე ადრეული შესაძლო სახელშეკრულებო დაფარვის ვადის საფუძველზე. მთლიანი სრული შემოსავალი და გასავალი, რომელიცგანხილულია ცხრილებში, წარმოადგენს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულადი ნაკადებს ფინანსურ ვალდებულებაზე. ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზის შედეგები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-თვიდან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	მთლიანი თანხის გადინება
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	165,888	232,377	207,257	1,592,498	**2,198,020**
საიჯარო ვალდებულებები	3,978	8,200	33,302	64,883	**110,363**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**169,866**	**240,577**	**240,559**	**1,657,381**	**2,308,383**

ვადიანობის ანალიზი ფინანსური ვალდებულებებისათვის 2020 წლის 31 დეკმებრის მდგომარეობით, იყო შემდეგი:

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-თვიდან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	მთლიანი თანხის გადინება
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	567,269	1,201,652	971,282	1,865,488	4,605,691
საიჯარო ვალდებულებები	15,750	15,750	31,500	140,000	203,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	**583,019**	**1,217,402**	**1,002,782**	**2,005,488**	**4,808,691**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ანალიზის შედეგები მოსალოდნელია დაფარვის ვადით, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნა 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	დაფარვის ვადის გარეშე	ვადა გადაცილებული	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,069,411	-	-	-	-	-	-	**1,069,411**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7,983	18,581	146,631	1,294,695	1,295,833	-	164,812	**2,928,535**
აქტივები გამოყენების უფლებით		-	-	108,694	-	-	-	**108,694**
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	8,965	-	**8,965**
დასაკუთრებული აქტივები	-	-	-	-	-	26,500	-	**26,500**
სხვა აქტივები		-	-	-	-	38,658	-	**38,658**
სულ აქტივები	**1,077,394**	**18,581**	**146,631**	**1,403,389**	**1,295,833**	**74,123**	**164,812**	**4,180,763**
ვალდებულებები								
სესხები და კრედიტები	(165,888)	(232,377)	(207,257)	(1,592,498)	-	-	-	**(2,198,020)**
საიჯარო ვალდებულებები	(3,978)	(8,200)	(33,302)	(64,884)	-	-	-	**(110,363)**
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(32,085)	-	-	-	-	-	-	**(32,085)**
სხვა ვალდებულებები	(4,020)	-	-	-	-	-	-	**(4,020)**
სულ ვალდებულებები	**(205,971)**	**(240,577)**	**(240,559)**	**(1,657,381)**	-	-	-	**(2,344,488)**
წმინდა მდგომარეობა	**871,423**	**(221,996)**	**(93,928)**	**(253,992)**	**1,295,833**	**74,124**	**164,812**	**1,836,275**

17 რიკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების მოსალოდნელი დაფარვის ვადების ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	დაფარვის ვადის გარეშე	ვადა გადაცილებული	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,845,439	-	-	-	-	-	-	**1,845,439**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	491,490	-	-	-	-	-	-	**491,490**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	6,413	14,271	553,935	1,705,589	1,074,248	-	213,190	**3,567,646**
აქტივები გამოყენების უფლებით	-	-	-	149,165	-	-	-	**149,165**
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	20,423	-	**20,423**
დასაკუთრებული აქტივები	-	-	-	-	-	26,500	-	**26,500**
სხვა აქტივები	-	-	-	-	-	57,957	-	**57,957**
სულ აქტივები	**2,343,342**	**14,271**	**553,935**	**1,854,754**	**1,074,248**	**104,880**	**213,190**	**6,158,620**
ვალდებულებები								
სესხები და კრედიტები	(21,777)	(378,890)	(2,006,564)	(1,588,947)	-	-	-	**(3,996,178)**
საოჯახო ვალდებულებები	(3,508)	(7,293)	(34,181)	(121,989)	-	-	-	**(166,971)**
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(4,899)	-	-	-	-	-	-	**(4,899)**
სხვა ვალდებულებები	(17,023)	-	-	-	-	-	-	**(17,023)**
სულ ვალდებულებები	(47,207)	(386,183)	(2,040,745)	(1,710,936)	-	-	-	**(4,185,071)**
წმინდა მდგომარეობა	**2,330,181**	**(371,912)**	**(1,486,810)**	**143,818**	**1,074,248**	**104,880**	**213,190**	**2,007,595**

18 კაპიტალის მართვა

კომპანიის პოლიტიკა მოიცავს ძლიერი კაპიტალის ბაზის შენარჩუნებას, იმგვარად რომ უზრუნველყოფილ იყოს ინვესტორის, კრედიტორისა და ბაზრის ნდობა და შენარჩუნდეს საქმიანობის შემდგომი განვითარება. კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას.

კომპანია განსაზღვრავს მის მიერ მოთხოვნილ კაპიტალს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს მის კაპიტალის სტრუქტურას და ცვლის მას ეკონომიკურ პირობებში და ქვემდებარე აქტივებში რისკების მახასიათებლებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა და ცვლილების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალიან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

18 კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

ვალის თანხის საკუთარი კაპიტალის თანხასთან თანაფარდობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის იყო შემდეგი:

	2021	2020
სულ ვალდებულებები	2,344,488	4,204,022
გამოკლებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(1,069,411)	(1,845,439)
წმინდა ვალი	**1,275,077**	**2,358,583**
სულ კაპიტალი	1,836,275	1,954,334
ვალის კაპიტალის თანაფარდობა	**0.7**	**1.2**

საქართველოში არსებული კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს გამოშვებული კაპიტალი არაუმცირეს 1,000,000 ლარისა, რომ დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ეკონომიური კოეფიცინტები და ლიმიტები.

2021 წლის ბოლოსთვის ვალის კაპიტალთან თანაფარდობა შემცირებულია, შესაბამისად კომპანია აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

19 პირობითი ვალდებულებები

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. „კომპანიას“ არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მის ტერიტორიასა და ძირითად საშუალებებზე, ბიზნესის შეწყვეტაზე და მესამე პირთა ვალდებულებებისთვის ძირითადი საშუალებების დაზიანებასთან მიმართებაში, რომლებიც წარმოიშვება კომპანიის ქონებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან ან უკავშირდებიან კომპანიის ოპერაციებს. სანამ „კომპანია“ მოიპოვებს შესაბამის დაზღვევას, არსებობს რისკი, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვას ან განადგურებას შესაძლოა ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები. ასევე ხშირია აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი,თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

20 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

კომპანიას არ ყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. 2021 და 2020წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის აქციონერები არიან:

2021 წლის 31 დეკემბერს:	**2020 წლის 31 დეკემბერს:**
სოფიო დევდარიანი – 40%;	სოფიო დევდარიანი – 40%;
ნატალია კეკელიძე – 30%;	ნატალია კეკელიძე – 30%;
ზურაბ ახალაია – 30%.	ზურაბ ახალაია – 30%.

(ა) გარიგებები უმაღლეს ხელმძღვანელობასთან

თანამშრომლებზე გაწეულ ხარჯში ჩართული მთლიანი ანაზღაურება 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ასეთია:

	2021	**2020**
ხელმძღვანელობის ანაზღაურება	97,500	97,500

(ბ) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

დაუფარავი ნაშთები და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების მოგების ან ზარალის თანხები 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

	2021	**2020**
ვალდებულებები		
სესხები და კრედიტები	1,134,932	(1,200,516)
მოგება (ზარალი)		
საპროცენტო ხარჯი	(147,424)	(147,452)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან არ არის უზრუნველყოფილი.

21 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება

(ა) რეალური ღირებულებების შეფასებები და დაშვებები

რეალური ღირებულების შეფასების მიზანია იმ ფასთან მიახლოება, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. მაგრამ განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, რეალური ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების გადაცემით.

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ რეალურ ღირებულებას.

21 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება (გაგრძელება)

ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებს და შემნახველ ანგარიშებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე კონკრეტული ვადები.

(ბ) რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია რეალურ ღირებულებას აფასებს რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით, შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე:

- 1-ლი დონე: ანალოგიური ინსტრუმენტის კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე.
- მე-2 დონე: პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან მიღებული) დაკვირვებადი მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე; მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასები ისეთ ბაზრებზე, რომლებიც ნაკლებად აქტიურად ითვლება; ან სხვა შეფასების მეთოდები, რა შემთხვევაშიც, შეფასებაში მონაწილე ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ბაზრიდან მოპოვებადი.
- მე-3 დონე: არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები ეს კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომელთა შეფასების მეთოდიც ეყრდნობა ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავს დაკვირვებად (საბაზრო) მონაცემებს და არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების საფუძველზე, რა შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი არასაბაზრო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო ამ ინსტრუმენტებს შორის განსხვავებების ასახვისთვის.

კომპანიამ განსაზღვრა რეალური ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს რეალური ღირებულების განსაზღვრება, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად, სტანდარტულ ოპერაციებში შეფასების დღისთვის. გამოყენებული შეფასების ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი.

კომპანიის შეფასებით, რომ მისი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან.

22 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედექსი“

მმართველობითი ანგარიშგება

2021 წლის

სარჩევი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის განაცხადება 2

ზოგადი ინფორმაცია 2

საქმიანობის მიმოხილვა 3

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 5

ძირითადი რისკები 8

კორპორაციული მართვის პრინციპები 20

Nexia TA

Member of Nexia International

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედექსი“-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედექსი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით არამოდიფიცირებული დასკვნა 2021 წლის 30 მაისი. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2021 წლის 30 მაისის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2021 წლის 30 მაისს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვდენილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2021 წლის 6 ივლისი

თბილისი, საქართველო

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის განაცხადება

2021 წელს მიუხედავად იმისა რომ კვლავ გაგრძელდა კოვიდ პანდემია, რაც ბევრი სირთულის და გამოწვევების მზიზი იყო კომპანიამ შეძლო ადაპტირება მოეხდინა რთული პირობებისთვის და მცირედ გაეუმჯობესებინა დაკრედიტების მოცულობა იმდაგვარად რომ რისკები არ გაზრდილიყო. აღნიშნული წელი ასევე რთული გამოდგა ქვეყნისთვის. ვინიადან პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას, პრაქტიკულად რთულად მიმდინარეობდა მისი აღდგენის პორცესი, მთელი რიგი ეკონომიკის სექტორების ზრდა არ უზრუნველყოფდა პანდემიამდე არსებული ნიშნულთან მიახლოებას. ეკონომიკის შენელებული აღდგენის პროცესი და ფინანსურ სექტორზე 2019 წელის პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციებიდან გამომდინარე დაკრედიტების პოლიტიკა კვლავ მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნიდა დაკრედიტების მაშტაბების ზრდისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მიუხედავად სიძნელეებისა, კრედექსი მზად აღმოჩნდა ახალი გამოწვევების გასამკლავლებლად. საკრედიტო პორტფელის სტრუქტურიდან გამომდინარე, 2021 წელსაც პანდემიამ მომხმარებლების ძალიან მცირე ნაწილზე იქონია პირდაპირი ზემოქმედება, რამაც მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ვერ მოახდინა. პირიქით მთელი 2021 წლის განმავლობაში კომპანიას ქონდა ძალიან მაღალი ლიკვიდობა და კაპიტალი, ხოლო მანამდე დაწყებულმა დისტანციური მომსახურების ტექნიკურმა საშუალებების კიდევ უფრო დახეწამ კომპანიას საშუალება მისცა გარკვეულად დაეჩქარებინა გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და მომხმარებლისთვის გაეუმჯობესებინა სერვისი.

კვლავ გაგრძელდა შიდა პლიტიკა–პროცედურების დახვეწა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის მონიტორინგის კუთხით, ჩატარდა თანამშრომლების არა ერთი თრეინინგი. განახლდა პროგრამული უზრუნველყოფის აემელ მოდული, რომელშიც გათვალისწინებული იქნა ეროვნული ბანკის ფულის გათეთრების ინსპექტირების სამსახურის რეკომენდაციები.

კვლავაც აქტიურად გაგრძელდა ნაყოფიერი თანამშრომლობა საქართველოს ბანკთან რომელმაც კომპანიის მყარი ფინანსური მდგომარეობის ფონზე გამოუყო 300 000 ლარის კრედიტი ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე. .

მიმდინარე წელსაც გაგრძელდა გასულ წელს დანერგილი ახალი საკრედიტო პროდუქტების სრულფასოვნად იმპლემეტაცია, ასევე მიმდინარეობს ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად სოციალურად ორიენტირებული საკრედიტო პროდუქტების შემუშავება და ღონისძიებების დაგეგმვა მათი პრაქტიკაში დასანერგად.

კრედექსმა პანდემიის პირობებში კვლავ დაადასტურა მისი სოციალური პასუხისმგებლობა და არა ერთ სასესხო ხელშეკრულებაზე მოახდინა დარიცხული პროცენტების გადავადება და საშეღავათო პერიოდების მიცემა.

კრედექსის უახლოს გეგმებშია დისტანციური არხებით სერვისების მიწოდები ბაზრის ახალი სეგემენტის ათვისება, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს პორტფელის დივერსიფიკაციას და ხელს შეუწყობს მის მნიშვნელოვნად ზრდას.

ზოგადი ინფორმაცია

შპს „მიკროსაფინანსოორგანიზაცია „კრედექსი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2012 წლის 23 აგვისტოს, იმ კერძო მეწარმეებისთვის მდგრადი საკრედიტო მომსახურების გაწევის მიზნით, რომლებსაც არ აქვთ წვდომა საკრედიტო საშუალებებზე ჩვეულებრივ საბანკო სისტემაში. „კომპანია“ საკრედიტო საშუალებებს სთავაზობს მრავალ მცირე მეწარმეს მათი საქმიანობების გაზრდისა და ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებისთვის.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია ჭაბუკიანის ქუჩა №7, თბილისი, საქართველო. მისი რეგისტრაციის ნომერია 400058030.

„კომპანიის“ უმაღლესი მმართველობითი ორგანოა „აქციონერთა საბჭო“. „კომპანიის“ ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს „სამეთვალყურეო საბჭო“, რომლის წევრებსაც ეს უკანასკნელი ნიშნავს. „კომპანიის“ ყოველდღიურ მართვას ახორციელებს „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ დანიშნული „აღმასრულებელი დირექტორი“.

„კომპანია“ დაფუძნებულია საქართველოს მოქალაქეების ვახტანგ ბართაიას, მიხეილ ცოგოშვილისა და ზურაბ ახალაიას მიერ „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში შესაბამისი წილებით 70%, 20% და 10%.

„კომპანიას“ ჰყავდა შემდეგი აქციონერები:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	**2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:**
სოფიო დევდარიანი – 40%;	სოფიო დევდარიანი – 40%;
ნატალია კეკელიძე – 30%;	ნატალია კეკელიძე – 30%;
ზურაბ ახალაია – 30%.	ზურაბ ახალაია – 30%;

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიამ“ მიიღო დაფინანსების 38% ამ აქციონერებისგან (2017 წელს: 34%). აქციონერებს აქვთ უფლებამოსილება წარმართონ „კომპანიის“ ოპერაციები საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი სარგებლის მიღების მიზნით. მათ ასევე სხვა ბიზნეს ინტერესებიც გააჩნიათ „კომპანიის“ გარეთ.

<u>საქმიანობის მიმოხილვა</u>

მიკროსაფინასო ორგანიზაცია კრედექსი ოპერირებს ორი ფილიალის საშუალებით, რომელიც სთავაზობს მომხმარებლებს მრავალფეროვან საკრედიტო პროდუქტებს, ასევე ვალუტის გაცვლის ოპერაციებს. კრედექსის მომხმარებლები არიან ფიზიკური პირები რომლებიც სარგებლობენ სამომხმარებლო, ბიზნეს, აგრო და იპოთეკური სესხებით. მიუხედავად იმისა რომ ბაზარზე ოპერირებს რამდენიმე ათეული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და 16 ბანკი, კრედექსი მაინც ახერხებს თავისი ნიშის შენარჩუნებას სხვადსხვა ინოვაციური პროდუქტები და მარკეტინგული ღონისძიებების გატარების საშუალებით. საკრედიტო ოფიცრები ყოველდღიურ რეჟიმში ახდენენ მომხმარებლებისთვის პროდუქტების შესახებ შესაბამისი შეთავაზებების გაკეთებას, ასევე მომხმარებლებს ინფორმაცია მიეწოდება სხვადსხვა სოციალური ქსელების გამოყენებით.

ქ. თბილისში არსებული ფილიალები, რომლებიც მდებარეობენ გლდანში და საბურთალოზე ფოკუსირებული არიან მოქალაქეების სამომხმარებლო და ბიზნესს სესხებით, ასევე თვითდასაქმებულებისთვის ბიზნეს სესხების შეთავაზებით. ფილიალების მენეჯერები პასუხისმგებელნი არიან პროდუქტების გაყიდვებზე და განვითარებაზე, ასევე ისინი პასუხისმგებელნი არიან მენეჯმენტისთვის სასარგებლო და დროული ინფორმაციის მიწოდებაზე როგორც ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე ასვე საკრედიტო მუშაკების მოტივაციის სისტემების დახვეწაზე. ზემოთ აღნიშნულ მიმართულებებზე ბევრი რამ იქნა გაკეთებული ბოლო პერიოდში, კერძოდ ფილიალების უშუალო ჩართულობით მოხდა ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროდუქტის შექმნა იმ კატეგორიის მომხმარებელბისთვის ვისაც გააჩნიათ დადასტურებული შემოსავლის წყარო და სესხის გადახდის გრაფიკის არასწორი სტრუქტურის და ვადიანობის გამო ექმნებათ პრობლემები და გაფუჭებული აქვთ საკრედიტო ისტორია

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

1. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2021	2020
ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	706,505	567,284
საპროცენტო ხარჯი	(362,230)	(455,057)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**344,275**	**112,227**
გაუფასურების აღდგენა/(ზარალი) გაცემულ სესხებზე	135,333	(86,391)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ	**479,608**	**25,836**
გაცემულ სესხებზე მიღებული ჯარიმები	63,094	401,139
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა მოგება	29,779	2,045
წმინდა ზარალი რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოგება/ზარალში	-	-
ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი	(275,085)	(265,423)
საოპერაციო და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	(226,870)	(305,114)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე	**70,526**	**(141,517)**
მოგების გადასახადის ხარჯი	(27,186)	18,952
წლის მოგება / (ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი	**43,340**	**(122,565)**

ფინანსური მდგომაროების ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები		
ფულადი სახსრები და მთი ეკვივალენტები	604,771	1,845,439
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	464,640	491,490
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	2,928,535	3,567,646
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	8,965	20,423
აქტივის გამოყენების უფლება	108,694	149,165
გადავადებული საგადასახადო აქტივები	-	-
მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-
დასაკუთრებული აქტივები	26,500	26,500
სხვა აქტივები	38,658	57,957
სულ აქტივები	**4,180,764**	**6,158,620**
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
მიღებული სესხები და კრედიტები	2,198,020	3,996,178
საიჯარო ვალდებულებები	110,363	166,971
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	32,085	4,899
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	-	-
სხვა ვალდებულებები	4,020	17,023
სულ ვალდებულებები	**2,344,488**	**4,185,071**
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	1,000,000	1,000,000
გაუნაწილებელი მოგება	836,275	973,549
სულ კაპიტალი	**1,836,275**	**1,973,549**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**4,180,763**	**6,158,620**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2021	2020
მოგება დაბეგვრამდე	70,526	(141,517.00)
კორექტირებები:		
გაუფასურების აღდგენა / (ზარალი)	(135,621)	86,391.00
ცვეთა და ამორტიზაცია	34,968	53,452.00
საპროცენტო შემოსავალი	(706,505)	(567,284.00)
საპროცენტო ხარჯი	345,707	455,057.00
საკურსო სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი	(109,811)	2,045.00
	(500,736)	**(111,856.00)**
კლება/(ზრდა) კლიენტებზე გაცემულ სესხებში	840,188	(405,792.00)
კლება/(ზრდა) საკრედიტო დაწესებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებში	-	(491,490.00)
კლება/(ზრდა) დასაკუთრებულ აქტივებში	-	-
კლება/(ზრდა) სხვა აქტივებში	19,299	45,420.00
ცვლილება მოგებაში / ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ინსტრუმენტებში	-	-
(კლება)/ ზრდა სხვა ვალდებულებებში	(13,002)	1,288.00
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული ფულადი სახსრები პროცენტამდე და დაბეგვრამდე	**345,749**	**(962,431.00)**
მიღებული პროცენტი	637,311	518,508.00
გადახდილი პროცენტი	(118,156)	(435,210.00)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული) / მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან	**864,904**	**(879,134.00)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(600)	(1,570.00)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	**(600)**	**(1,570.00)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობები გადაუხდელი საწესდებო კაპიტალიდან	-	-
მიღებული სესხები და კრედიტები	534,277	1,335,237.00
მიღებული სესხებისა და კრედიტების დაფარვა	(2,475,434)	(1,001,615.00)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(23,218)	(39,742.00)
გადახდილი დივიდენდები	(180,614)	(147,368.00)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საფინანსო საქმიანობიდან	**(2,144,989**	**146,512.00**
წმინდა ზრდა/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	**(1,280,685)**	**(734,192.00)**
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	40,016	274,261.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,845,439	2,305,370.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**604,771**	**1,845,439.00**

ადამიანური რესურსები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა შეადგენს 13 ადამიანს.

ძირითადი რისკები

რისკების მართვა კომპანიის საქმიანობის არსებით ნაწილსადამი სიოპერაციების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებია საბაზრო,საკრედიტოდალიკვიდურობისრისკები.

რისკების მართვის პოლიტიკები და პროცედურები

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონის ადალიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი მთლიანობაში პასუხისმგებელნი არიან რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, ასევე რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე და კომპანიაზე არსებითი გავლენის მქონე რისკების დამტკიცებაზე. კომპანიის საზედამხედველო საბჭოს და აღმასრულებელ დირექტორს ევალება მონიტორინგის განხორციელება და რისკების შემამსუბუქებელი ზომების მიღება, ასევე კომპანიის საქმიანობის განსაზღვრული სარისკო პარამეტრების ფარგლებში მიმდინარეობის უზრუნველყოფა. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია რისკების ზოგად მართვასა და შესაბამის ფუნქციონირებაზე, ასევე ფინანსური და არაფინანსური რისკების გამოვლენასთან, შეფასებასთან, მართვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული საერთო პრინციპებისა და მეთოდების განხორციელების უზრუნველყოფაზე. იგი უშუალოდ საზედამხედველო საბჭოს წინაშეა ანგარიშვალდებული.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა ფასების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშვება საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც დაქვემდებარებულნი არიან ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და საბაზრო ფასების არასტაბილურობის დონის ცვლილებებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია კომპანიაზე საბაზრო რისკების გავლენის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე მოქმედებს ცვლილებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პრიორიტეტულ დონეებში.

საპროცენტო მარჟა შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს კიდეც ან წარმოშვას ზარალი, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ მოძრაობებს.

საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვა ხდება საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგის გზით. საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზის შედეგები, ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტისთვის 2021 წლის 31 დეკემბრის დგომაროებით იყო შემდეგი:

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
31 დეკემბერი 2021						
აქტივები						
კლიენტებზე გაცემული სესხები	172,796	18,581	146,631	1,294,695	1,295,833	**2,928,535**
სულ აქტივები	**172,796**	**18,581**	**146,631**	**1,294,695**	**1,295,833**	**2,928,535**
ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები	(165,888)	(232,377)	(207,257)	(1,592,498)	-	**(2,198,020)**
საიჯარო ვალდებულებები	(3,977)	(8,200)	(33,302)	(64,883)	-	**(110,363)**
სულ ვალდებულებები	(169,865)	(240,577)	(240,559)	(1,657,381)	-	(2,308,383)
წმინდა მდგომარეობა	**2,930**	**(221,996)**	**(93,928)**	**(362,686)**	**1,295,833**	**620,152**

საპროცენტო შედარებითი ანალიზის შედგება, ძირითადი ფინანსური ინსტიტუტებისთვის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
31 დეკემბერი 2020						
აქტივები						
კლიენტებზე გაცემული სესხები	219,603	14,271	553,935	1,705,589	1,074,248	**3,567,646**
სულ აქტივები	**219,603**	**14,271**	**553,935**	**1,705,589**	**1,074,248**	**3,567,646**
ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები	(21,777)	(378,890)	(2,006,564)	(1,588,947)	-	**(3,996,178)**
საიჯარო ვალდებულებები	(3,508)	(7,293)	(34,181)	(121,989)	-	**(166,971)**
სულ ვალდებულებები	**(25,285)**	**(386,183)**	**(2,040,745)**	**(1,710,936)**		**- (4,163,149)**
წმინდა მდგომარეობა	**354,637**	**(138,002)**	**(353,258)**	**(540,546)**	**311,342**	**(365,827)**

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში განსაზღვრულია საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები პროცენტიანი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობი. წინამდებარე საპროცენტო განაკვეთები მიახლოებულია ამგვარი აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ამონაგებებთან.

	2021		**2020**	
საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები	საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %		საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %	
	ლარი	აშშ დოლარი	ლარი	აშშ დოლარი
კლიენტებზე გაცემული სესხები	31%	22%	33%	23%
საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ვალდებულებები				
სესხები ფიზიკური პირებისგან	-	13%	-	13%
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	14%	12%	12%	11%

რეალური ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტებისათვის.

კომპანია არ ახდენს მისის რომელიმე ფიქსირებულ განაკვეთიანი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებას. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისთვის ცვლილება არ იმოქმედებს მოგებასა და ზარალზე.

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის მონიტორინგთან ერთად საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ხორციელდება. წმინდა მოგების მგრძონელობის ანალიზი, საპროცენტო განაკვეთში ცვლილებაზე (ფასების შეცვლის რისკი),რომელიც ქვემოთ არის მოცემული, ეყრდნობა ყველა შემოსავლის მრუდის 100 საბაზრო ერთეულით სიმეტრიული ვარდნის ან

ზრდის გამარტივებულ სცენარს. საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებების არსებული პოზიციები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
პარალელური ვარდნა 100 საბაზისო ერთეულით	2,550	6,317
პარალელური ზრდა 100 საბაზისო ერთეულით	(2,550)	(6,317)

სავალუტო რისკი

კომპანიის ზოგიერთი ფინანსური აქტივი და ვალდებულებაა დოლარშია დენომინირებული. სავალუტო რისკი წამოადგენს რისკს იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების გამო.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო რისკის სტრუქტურას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	სულ
აქტივები			
ფულადი სახსრები დამათი ექვივალენტები	341,932	721,054	6,425
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,674,825	253,710	
სულ აქტივები	**3,016,757**	**974,764**	**6,425**
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	(821,083)	(1,376,937)	
საიჯარო ვალდებულებები	(110,363)	-	
სულ ვალდებულებები	**(931,446)**	**(1,376,937)**	**-**
წმინდა მდგომარეობა	**2,085,311**	**(402,173)**	**6,425**

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკების სტრუქტურას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	სულ
აქტივები			
ფულადი სახსრები დამათი ექვივალენტები	435,105	1,410,334	1,845,439
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	491,490	491,490
სულ აქტივები	**3,009,843**	**557,803**	**3,567,646**
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	(1,189,634)	(2,806,544)	**(3,996,178)**
საიჯარო ვალდებულებები	(166,971)	-	**(166,971)**
სულ ვალდებულებები	**(1,356,605)**	**(2,806,544)**	**(4,163,149)**
წმინდა მდგომარეობა	**2,088,343**	**(346,917)**	**1,741,426**

ქვემოთ მოცემულია წლის განმავლობაში გამოყენებული მნიშვნელოვანი სავალუტო გაცვლითი კურსები:

	ანგარიშგების თარიღით არსებული საშუალო კურსი			
	2021	2021	2020	2020
1 აშშ დოლარი	**3.0976**	**3.2209**	**3.1097**	**3.2766**

ლარის კურსის შესუსტება, როგორც ქვემოთ არის მითითებული, შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდიდა (შეამცირებდა) მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. აღნიშნული ანალიზი მოცემულია გადასახადების გამოკლებით და ეყრდნობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ისეთ ცვლებებს, რომლებიც კომპანიამ გონივრულ ფარკლებში შესაძლოდ მიიჩნია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა სხვა ცვლადი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთები, უცვლელად დარჩება.

	2021	2020
დოლარის 10%-ით გამყარება ლართან მიმართებაში	**(33,639)**	**(29,488)**

ლარის გამყარებას ზემოთ მითითებულ ვალუტებთან მიმართებაში 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს ექნებოდა იგივე მაგრამ უკუ-ეფექტი მითითებულ ვალუტებზე, იმ დაშვებით რომ ყველა სხვა ცვლადი მუდმივი დარჩება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს.

კოპმანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომელშიც გათვალისწინებულია საკრედიტო კომიტეტების შექმნა. ეს არის ანლიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მათი მინიმუმამდე დაყვანა. საკრედიტო პოლიტიკა (საკრედიტო სახელმძღვანელოს სახით) განიხილება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის

განაცხადის დაფინანსება-არდაფინანსების შესახებ. კომიტეტისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება ლიმიტებს, რომლებიც საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებშია დადგენილი.

საკრედიტო კომიტეტისათვის წარმოდგენილია ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხს აგებს სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, ბიზნეს კონკურენტიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დაქვემდებარება ფინანსური აქტივებიდან საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

	2021	2020
აქტივები		
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,928,535	3,567,646
საბანკო ნაშთები	1,069,411	1,842,306
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება	**3,997,946**	**5,409,952**

გაუფასურების შეფასება

იმის განსაზღვრისთვის, მოხდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის (დეფოლტისრისკის) თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვანი ზრდა, კომპანია იყენებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია არაჯეროვანი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე. ასეთი მონაცემები მოიცავს ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზის, რომელიც ეფუძნება „კომპანიის“ ისტორიულ გამოცდილებას, კრედიტის საექსპერტო შეფასებას და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას.

კომპანია აღიარებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- მისი ფინანსური მაჩვენებლები გაუფასურებულია და ფაქტიური დავალიანება რესტრუქტურიზებულია, თუმცა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი არ დამდგარა;
- დავალიანება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია (გარდა ბანკის ბალანსებისა); და
- არსებობს სხვა სუსტი მხარეები, რომლებსაც უარყოფითი გავლენა აქვთ მსესხებლის გადახდის უნარიანობაზე.

სესხების დეფოლტის ალბათობის მოდელირება დაფუძნებულია თითოეული სესხის სეგმენტის ჯგუფური ანალიზის მეთოდზე. დეფოლტის განმარტების მიხედვით, დეფოლტის ალბათობა დაფუძნებულია ისტორიული ყოველთვიური მიგრაციის ანალიზზე წინა ხუთი წლის პერიოდის სეგმენტების დეფოლტის მიხედვით. იმ სეგმენტებისთვის, რომლებისთვისაც არ არსებობს საკმარისი ისტორიული მონაცემები, პერიოდი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელი პერიოდიდან არსებობს ფაქტობრივი მონაცემები.

ყველა სეგმენტისთვის გამოითვლებოდა ისტორიული საშუალო ყოველთვიური მატრიცა და დეფოლტის ალბათობა სასურველი პერიოდისთვის განისაზღვრებოდა მატრიცის ექსტრაპოლირებით(1 წელი და მთლიანი სასიცოცხლო ციკლი).

დადგენა არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. არსებითის მნიშვნელობა განსხვავებულია სესხების გაცემის სხვადასხვა ტიპებისთვის, კონკრეტულად კი ბიზნეს და სამომხმარებლო სეგმენტებისთვის. კომპანია ფინანსურ აქტივზე ვადაგადაცილების სტატუსს (30დღეზე მეტი) იყენებს „backstop” ინდიკატორად, ასევე გამოიყენება სხვა ხარისხობრივი ინდიკატორები, რათა შეფასდეს რამდენად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი.

დეფოლტის განმარტება

კომპანია სესხს დეფოლტირებულად განიხილავს, ერთ-ერთი შემდეგი ვითარების წარმოშობის შემთხვევაში:

- სესხები 90 მეტი ვადაგადაცილებით (გარდა ბანკის ბალანსებისა);
- გაკოტრების პროცედურები და/ან სამართლებრივი პროცედურები, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედონ კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების უნარზე;
- მსესხებლის გარდაცვალება, მსესხებლის კომპანიის ლიკვიდაცია (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- არსებითი დანაკარგები რომლებიც დაკავშირებულია რესტრუქტურიზაციასთან;
- თაღლითობა ან სხვა ფორსმაჟორული სიტუაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის გადახდისუნარიანობაზე.

დეფოლტის სტატუსი ფასდება რეგულარულად (ყოველწლიურად).

კომპანიამ უნდა აღრიცხოს თუ რაკრიტერიუმის დარღვევის გამო გახდა სესხი დეფოლტირებული.

მომავალი ტენდენციების გათვალისწინება

კომპანია ითვალისწინებს მომავალ ტენდენციებს იმის დასადგენად,თუ რამდენად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ასევე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

კომპანიის ექსპერტების მიერ ხდება მომავალი ტენდენციების შეფასება. შეფასება დამოკიდებულია ასევე გარე ინფორმაციაზე. გარე ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს ეკონომიკურ მონაცემებს და ქვეყნის (სადაც კომპანია ოპერირებს) სამთავრობო და საფინანსო ორგანოების მიერ გამოქვეყნებულ პროგნოზებს, როგორიცაა მაგ.საქართველოს ეროვნული ბანკი.

ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული პორტფელისთვის კომპანიამ მოახდინა საკრედიტო რისკის მთავარი დრაივერის იდენტიფიცირება, ისტორიული მონაცემებისა და მაკროეკონომიკური მოვლენების საკრედიტო რისკზე გავლენების შეფასების საფუძველზე.

მაკროეკონომიკური პარამეტრების (როგორიცაა ინფლაცია, ვალუტის გაუფასურება) შეფასებამაჩვენა, რომ არცერთს არ აქვს სტატისტიკურად არსებითი გავლენა პორტფელის დეფოლტის ალბათობაზე. გასული 3 წლის ისტორიულმა კორელაციამ არ აჩვენა მნიშვნელოვანი კავშირი მაკროეკონომიკურ ფაქტორებსა და დეფოლტის ალბათობას შორის.

როდესაც კორელაცია დადგენილია, ისტორიული კორელაციის მიხედვით, დეფოლტის ალბათობა კორექტირდება „Vasicek”-ის მოდელის გამოყენებით. „Vasicek”-ის მოდელი იყენებს კორელაციას მაკროეკონომიკურ პარამეტრსა და დეფოლტის ალბათობას შორის, რომელიც რეგრესიულ (უმცირეს კვადრატთა) ანალიზით შეფასდა, შემდეგ ახდენს დეფოლტის ალბათობის კორექტირებას ისტორიული კავშირების გათვალისწინებით, სამომავლო მშპ-ზედაყრდნობით.

მოდიფიცირებული ფინანსური აქტივები

სესხის სახელშეკრულებო პირობები შესაძლებელია შეიცვალოს რიგი მიზეზების გამო, როგორიცაა საბაზრო პირობების ცვლილება, კლიენტების შენარჩუნება და სხვა ფაქტორები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული კლიენტის მიმდინარე ან პოტენციურ საკრედიტო გაუარესებასთან. არსებული სესხის აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა, შესაძლებელია შეწყდეს და ახალ სესხად აღიარებულ იქნას მოდიფიცირებული სესხი, რეალური ღირებულებით, 3 შენიშვნაში მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანია ახდენს სამომხმარებლო სესხების პირობების ცვლილებას ფინანსური სირთულეების მქონე კლიენტებისთვის, რათა გაზარდოს სესხის ამოღების შესაძლებლობები და მოახდინოს დეფოლტის რისკის მინიმიზირება. კომპანიის რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის მიხედვით, სესხის რესტრუქტურიზაცია ხდება, თუ მსესხებელი ამჟამად დეფოლტშია, ან არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, არსებობს მტკიცებულება, რომ მსესხებელმა განახორციელა ყველა გონივრული ქმედება არსებული სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში ვალის გასტუმრებისთვის და მოსალოდნელია, რომ იგი შეძლებს განახლებული სასესხო პირობების დაკმაყოფილებას.

შეცვლილი პირობები, როგორც წესი, გულისხმობს დაფარვის ვადის გახანგრძლივებას, და საპროცენტო გადახდების გრაფიკის ცვლილებას. სესხის პირობების ცვლილება საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის ხარისხობრივი მახასიათებელია. შესაბამისად, კომპანია ასეთ კლიენტს არასტანდარტულად მიიჩნევს და მეორე ეტაპზე გადაჰყავს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ცვლადი მონაცემები:

- დეფოლტისალბათობა(PD);
- ზალარი დეფოლტის ემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის დაქვემდებარებული თანხები (EAD).

რისკზე დაქვემდებარების 1-ლი ეტაპის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება 12თვეში „დეფოლტის ალბათობის“,„ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ და „დეფოლტს დაქვემდებარებულ თანხებზე“ გადამრავლებით. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება არსებობის მანძილზე „დეფოლტის ალბათობის“, „ზარალი დეფოლტისშემთხვევაში“ და „დეფოლტს დაქვემდებარებულ თანხებზე“ გადამრავლებით. კომპანია ასევე ადისკონტირებს დეფოლტს დაქვემდებარებულ თანხებს დეფოლტის თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე.

დეფოლტის ალბათობების დადგენის მეთოდოგოლია აღწერილია ზემოთ „დეფოლტის ალბათობის ჩვენებლების ვადიანობის განსაზღვრა“ სათაურის ქვეშ.

საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიზნებისთვის, ზარალი სესხებზე ფასდება ჯგუფურად სეგმენტების მიხედვით.

კომპანია ადგენს ზარალს დეფოლტის შემთხვევაში დეფოლტირებული კლიენტების ისტორიული აღდგენების სტატისტიკაზე დაყრდნობით. „ვინტაჟ“ მიდგომა გამოიყენება დეფოლტირებული სესხების (მათი სასიცოცხლო ვადის მანძილზე) აღდგენილი პორტფელის პროცენტულობის დასადგენად. სესხები დაჯგუფებულია დეფოლტის წლების მიხედვით და გადახდის ოდენობები მიბმულია თითოეულ ჯგუფზე. ახლად დეფოლტირებული პორტფელებისთვის გამოიყენება სტატისტიკური მონაცემები მომავალი აღდგენების პროგნოზირებისთვის. საბოლოოდ, ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გამოსათვლელად გაყოფილია დეფოლტირებულ პორტფელზე.

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD) ასახავს მოსალოდნელ დაქვემდებარებას დეფოლტის შემთხვევაში. დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები გამოითვლება ყველა პროდუქტისთვის ცალ-ცალკე მათი საშუალო ნარჩენი არსებობის ვადის გათვალისწინებით, თითოეულ სასიცოცხლო პერიოდზე ცალ-ცალკე. სესხის გაცემიდან საშუალო დეფოლტის პერიოდის დასათვლელად გამოიყენება ისტორიული მონაცემები. სხვადასხვა წლების მონაცემების შეფასებამ აჩვენა, რომ წელიწადის შუა პერიოდი არის დეფოლტის მომენტი. შესაბამისად, ეს მომენტი გამოიყენება დეფოლტს დაქვემდებარებული თანხების დასათვლელად გეგმით გათვალისწინებული ძირი თანხების გამოკლებით (სავარაუდო ვადაგადაცილების პერიოდამდე) და სამი თვის დარიცხული პროცენტის დამატებით (სავარაუდო ვადაგადაცილების პერიოდიდან სესხის გადეფოლტების პერიოდამდე).

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავდება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. ფინანსურ ინსტიტუტში სრული შესაბამისობის მიღწევა იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც ის სხვა და სხვა ტიპის არის. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.

კომპანია ახორციელებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ფულადი ვალდებულების უზრუნველყოფისთვის ხელმისაწვდომი იქნება თანხები მათი დაფარვის თარიღისთვის.

ლიკვიდურობის პოზიციას აკონტროლებს აღმასრულებელი დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო. ლიკვიდურობის მართვის გადაწყვეტილებებს იღებს სამეთვალყურეო საბჭო და ასრულებს აღმასრულებელი დირექტორი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსურ ვალდებულებებზე და მათ ყველაზე ადრეული შესაძლო სახელშეკრულებო დაფარვის ვადის საფუძველზე. მთლიანი სრული შემოსავალი და გასავალი, რომელიც განხილულია ცხრილებში, წარმოადგენს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ ვალდებულებაზე.

ვადიანობის ანალიზი ფინანსური ვალდებულებებისათვის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო შემდეგი:

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-თვიდან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ მთლიანი თანხის გადინება	სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები	165,888	232,377	207,257	1,592,498	**2,198,020**	
საიჯარო ვალდებულებები	3,977	8,200	33,302	64,883	**110,363**	
სულ ფინანსური ვალდებულებები	**169,865**	**240,577**	**240,559**	**1,657,381**	**2,308,383**	

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზის შედეგები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-თვიდან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ მთლიანი თანხის გადინება	სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები	567,269	1,201,652	971,282	1,865,488	4,605,691	567,269
საიჯარო ვალდებულებები	15,750	15,750	31,500	140,000	203,000	15,750
სულ ფინანსური ვალდებულებები	**583,019**	**1,217,402**	**1,002,782**	**2,005,488**	**4,808,691**	**583,019**

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების მოსალოდნელი დაფარვის ვადების ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	დაფარვის ვადის გარეშე	ვადა გადაცილებული	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,069,411	-	-	-	-	-	-	**1,069,411**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7,983	18,581	146,631	1,294,695	1,295,833	-	164,812	**2,928,535**
აქტივები გამოყენების უფლებით		-	-	108,694	-	-	-	**108,694**
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	8,965	-	**8,965**
დასაკუთრებული აქტივები	-	-	-	-	-	26,500	-	**26,500**
სხვა აქტივები	-	-	-	-	-	38,658	-	**38,658**
სხვა აქტივები	**1,077,394**	**18,581**	**146,631**	**1,403,389**	**1,295,833**	**74,124**	**164,812**	**4,180,763**
ვალდებულებები								
სესხები და კრედიტები	(165,888)	(232,377)	(207,257)	(1,592,498)				**(2,198,020)**
საიჯარო ვალდებულებები	(3,977)	(8,200)	(33,302)	(64,883)				**(110,363)**
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(32,085)	-	-	-				**(32,085)**
სხვა ვალდებულებები	(4,020)	-	-	-				**(4,020)**
სულ ვალდებულებები	**(205,971)**	**(240,577)**	**(240,559)**	**(1,657,381)**				**(2,344,489)**
წმინდა მდგომარეობა	**871,423**	**(221,996)**	**(93,928)**	**(253,992)**	**1,295,833**	**74,124**	**164,812**	**1,836,275**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ანალიზის შედეგები მოსალოდნელია დაფარვის ვადით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	დაფარვის ვადის გარეშე	ვადაგადაცილებული	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,845,439	-	-	-	-	-	-	**1,845,439**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	491,490	-	-	-	-	-	-	**491,490**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	6,413	14,271	553,935	1,705,589	1,074,2482	-	213,190	**3,567,646**
აქტივები გამოყენების უფლებით	-	-	-	149,165	-	-	-	**149,165**
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	20,423	-	**20,423**
დასაკუთრებული აქტივები	-	-	-	-	-	26,500	-	**26,500**
სხვა აქტივები	-	-	-	-	-	57,957	-	**57,957**
ვალდებულებები								
სესხები და კრედიტები	(21,777)	(378,890)	(2,006,564)	(1,588,947)	-	-	-	**(3,996,178)**
საიჯარო ვალდებულებები	(3,508)	(7,293)	(34,181)	(121,989)	-	-	-	**(166,971)**
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(4,899)	-	-	-	-	-	-	**(4,899)**
სხვა ვალდებულებები	(17,023)	-	-	-	-	-	-	**(17,023)**
სულ ვალდებულებები	(47,207)	(386,183)	(2,040,745)	(1,710,936)	-	-	-	**(4,185,071)**
წმინდა მდგომარეობა	**2,330,181**	**(371,912)**	**(1,486,810)**	**143,818**	**1,074,248**	**104,880**	**213,190**	**2,007,595**

COVID 19-ის და გლობალური ფინანსური ბაზრების გავლენა კომპანიაზე

კრედექსმა გაითვალისწინა შემდეგი საოპერაციო რისკები, რომლებსაც შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეთ კომპანიაზე:

- თანამშრომლების ხელმიუწვდომლობა დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, რაც ახალი სესხების გაცემას აფერხებს;
- მომხმარებლების უუნარობა განახორციელონ სასესხო გადახდები.

მოვლენათა პოტენციური უარყოფითი განვითარების შემთხვევებით გამოწვეული რისკების შესამსუბუქებლად, მენეჯმენტმა დაიწყო გარკვეული ზომების მიღება, შემდეგის ჩათვლით:

- თანამშრომელთა არსებითი ჯგუფისთვის სახლიდან მუშაობის პროგრამის დანერგვა;
- დაზარებული მომხმარებლებისთვის დაფარვებზე მორატორიუმის უზრუნველყოფა, მათი მოთხოვნის საფუძველზე.

ამ და სხვა დაშვებების საფუძველზე, კომპანიის მენეჯმენტი ფიქრობს რომ, ფულადი ნაკადების პროგნოზები, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან სულ მცირე 12-თვიანი პერიოდისთვის, რომლებიც მიანიშნებენ იმაზე, რომ გონივრულად შესაძლებელი მოვლენების უარყოფითი განვითარებების გათვალისწინებით, კომპანიას, შემდეგი 12-თვიანი პერიოდის მანძილზე, ექნება საკმარისი ფულადი სახსრები მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი ვადის დადგომისთანავე. ხელმძღვანელობამ ასევე გაანალიზა კომპანიის სებ-ის რეგულაციებთან შესაბამისობა. მოსალოდნელია, რომ კომპანია იქნება შესაბამისობაში სებ-ის მოთხოვნებთან. ყველაზე უარეს მოვლენათა განვითარების სტრეს ტესტის შემთხვევაშიც კი, კომპანია ინარჩუნებს საკმარის ლიკვიდურობას, რათა მხარი დაუჭიროს უწყვეტ ოპერაციებს ახლო მომავალში.

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ COVID-19-ის პანდემიას და შედეგად შემცირებულ ეკონომიკურ საქმიანობას ქვეყნის ფარგლებში, ასევე გლობალური ფინანსური ბაზრების უარყოფით ცვლილებებს, არ ექნებათ არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მის ფინანსურ შედეგებზე.

კორპორაციული მართვის პრინციპები

ორგანიზაცია ოპერირებს კორპორატიული მართვის პრინციპების შესაბამისად. გადაწყვეტილებების დელეგირებულია შესაბამის თანამშრომლებზე, რომლის ეფექტური კონტროლის მექანიზმის საშუალებით მინიმუმადეა დაყვანილი საოპარაციო რისკები. სამეთვალყურო საბჭო უფლებამოსილების ფარგლებში ზედამხედველობას უწევს მენეჯმენტს და წარმართავს ძირითად პოლიტიკას. ორგანიზაცია აგანრიშვალდებულებას პირნათლად ასრულებს როგორც რეგულატორთან, ასევე ინვესტრებთან მიმართებაში. არის გამჭირვალე და იცავს ეთიკის კოდექსით განსაზვრულ სტანდარტებს.

_____

ზურაბ ახალაია

აღმასრულებელი დირექტორი

COVID 19-ის და გლობალური ფინანსური ბაზრების გავლენა კომპანიაზე

კრედექსმა გაითვალისწინა შემდეგი საოპერაციო რისკები, რომლებსაც შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეთ კომპანიაზე:

- თანამშრომლების ხელმიუწვდომლობა დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, რაც ახალი სესხების გაცემას აფერხებს;
- მომხმარებლების უუნარობა განახორციელონ სასესხო გადახდები.

მოვლენათა პოტენციური უარყოფითი განვითარების შემთხვევებით გამოწვეული რისკების შესამსუბუქებლად, მენეჯმენტმა დაიწყო გარკვეული ზომების მიღება, შემდეგის ჩათვლით:

- თანამშრომელთა არსებითი ჯგუფისთვის სახლიდან მუშაობის პროგრამის დანერგვა;
- დაზარებული მომხმარებლებისთვის დაფარვებზე მორატორიუმის უზრუნველყოფა, მათი მოთხოვნის საფუძველზე.

ამ და სხვა დაშვებების საფუძველზე, კომპანიის მენეჯმენტი ფიქრობს რომ, ფულადი ნაკადების პროგნოზები, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან სულ მცირე 12-თვიანი პერიოდისთვის, რომლებიც მიანიშნებენ იმაზე, რომ გონივრულად შესაძლებელი მოვლენების უარყოფითი განვითარებების გათვალისწინებით, კომპანიას, შემდეგი 12-თვიანი პერიოდის მანძილზე, ექნება საკმარისი ფულადი სახსრები მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი ვადის დადგომისთანავე. ხელმძღვანელობამ ასევე გაანალიზა კომპანიის სებ-ის რეგულაციებთან შესაბამისობა. მოსალოდნელია, რომ კომპანია იქნება შესაბამისობაში სებ-ის მოთხოვნებთან. ყველაზე უარეს მოვლენათა განვითარების სტრეს ტესტის შემთხვევაშიც კი, კომპანია ინარჩუნებს საკმარის ლიკვიდურობას, რათა მხარი დაუჭიროს უწყვეტ ოპერაციებს ახლო მომავალში.

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ COVID-19-ის პანდემიას და შედეგად შემცირებულ ეკონომიკურ საქმიანობას ქვეყნის ფარგლებში, ასევე გლობალური ფინანსური ბაზრების უარყოფით ცვლილებებს, არ ექნებათ არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მის ფინანსურ შედეგებზე.

კორპორაციული მართვის პრინციპები

ორგანიზაცია ოპერირებს კორპორატიული მართვის პრინციპების შესაბამისად. გადაწყვეტილებების დელეგირებულია შესაბამის თანამშრომლებზე, რომლის ეფექტური კონტროლის მექანიზმის საშუალებით მინიმუმამდეა დაყვანილი საოპარაციო რისკები. სამეთვალყურო საბჭო უფლებამოსილების ფარგლებში ზედამხედველობას უწევს მენეჯმენტს და წარმართავს ძირითად პოლიტიკას. ორგანიზაცია აგანრიშვალდებულებას პირნათლად ასრულებს როგორც რეგულატორთან, ასევე ინვესტრებთან მიმართებაში. არის გამჭირვალე და იცავს ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ სტანდარტებს.

ზურაბ ახალაია

აღმასრულებელი დირექტორი